645/1961/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 40

# საბჭოთა ქალი

№ 5 მაისი 1961 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა












თბილისი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი

# ლენინს, სტალინს
# თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
# გ. კ. ორჯონიკიძე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 5 მაისი 1961 წ.
საბჭოთა ქალი
გამოცემის მეხუთე წელი

8576
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკა



# საბჭოთა კოსმონავტს, რომელმაც მსოფლიოში პირველად განახორციელა კოსმოსური ფრენა,

## მაიორ იური ალექსის-ძე გაგარინს

ძვირფასო იური ალექსის-ძევ!

დიდ სიხარულს მგვრის მხურვალედ მოგილოცოთ შესანიშნავი გმირობა— პირველი კოსმოსური ფრენა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით".

მთელი საბჭოთა ხალხი აღტაცებულია თქვენი სახელოვანი გმირობით, რომელიც საუკუნოდ დარჩება როგორც მაგალითი მამაცობის, გამბედაობისა და გმირობისა კაცობრიობის სამსახურისათვის.

ფრენამ, რომელიც თქვენ მოახდინეთ, ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის მიერ კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში და საბჭოთა ადამიანების გული აღავსო დიდი სიხარულითა და სიამაყით თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის.

სულით და გულით გილოცავთ მშვიდობით დაბრუნებას კოსმოსური მოგზაურობიდან მშობლიურ დედამიწაზე. გეხვევით.

ნახვამდის მოსკოვში შეხვედრამდე.

1961 წლის 12 აპრილი.

ნ. ხრუშჩოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღესასწაული

რა ბედნიერი დამთხვევაა! —

ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულია — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი, და —

კოსმოსში გაფრინდა საბჭოთა ადამიანი!

მოხდა სასწაული, სასწაული ზუსტად გაანგარიშებული და დასაბუთებული საბჭოთა მეცნიერების მიერ.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითმა გენიამ სინამდვილედ აქცია ზღაპარი, გზა გაკვალა სამყაროს უსასრულო სივრცეებისაკენ, აქამდე შეუცნობელის შეცნობისაკენ. კოსმოსში კაცობრიობის პირველმა მეკვლემ საბჭოთა მფრინავმა იური გაგარინმა ამაყად გაიქროლა საპლანეტათაშორისო სივრცეში კოსმოსური ხომალდით და შინ, დედამიწაზე, მშვიდობით დაბრუნდა.

განცვიფრებულია მსოფლიო. მილიონობით ადამიანები დედამიწის ყოველი კუთხიდან აღფრთოვანებით მიესალმებიან საბჭოთა ხალხს, მის უმამაცეს შვილს იური გაგარინს, რომელმაც ამ საოცარი გაფრენით მარად უჭკნობი დიდებით შემოსა თავისი სახელი.

უნაპიროა ჩვენი ხალხის სიხარული და აღფრთოვანება. ეს ბუნებრივიცაა — კოსმოსის კარი პირველად საბჭოთა ადამიანმა შეაღო. ჭეშმარიტად, ეს ზეიმია სოციალისტური წყობილების სიმტკიცის და უპირატესობისა, ზეიმია საბჭოთა მეცნიერული აზროვნებისა, სიმბოლოა საბჭოთა ხალხის უშრეტი შემოქმედებითი გენიის არნახული განვითარების და გაქანებისა.

კომუნიზმის ყველაზე დაუძინებელი მტრებიც კი ხედავენ ახლა თუ რა კოლოსალურია ძალა კაპიტალისტური მონობისაგან თავისუფალი ხალხისა, მშრომელებისა, რომლებიც თვითონვე არიან თავიანთი ბედის განმგებლები, ხედავენ თუ რა მტკიცე და ძლიერია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, წინსვლისა და პროგრესის რა '›ლებს შეიცავს იგი.

ზეიმობს მთელი საბჭოთა ხალხი, ზეიმობს ქართველი ხალხი, რომელმაც სწორედ სოციალისტური წყობილების პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე მიაღწია თავისი სულიერი და ფიზიკური ძალების არნახულ აყვავებასა და განვითარებას.

40 წელი! რა მოკლე და უმნიშვნელოა ეს დრო ისტორიისათვის! რა ბევრი გამარჯვების მომტანია იგი საქართველოს მშრომელებისათვის, გამარჯვებებისა, რომლებიც გაპირობებულია კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით, დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ურღვევი მეგობრობით და ძმური კავშირით, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით.

როგორ იცვალა სახე რესპუბლიკამ, მისმა ქალაქებმა და სოფლებმა! რამდენი ახალი ქალაქი და სოფელი აღმოცენდა! რა გიგანტური ნაბიჯებით განვითარდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა! რა სიმაღლეს მიაღწია ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა ქართულმა კულტურამ! როგორ გაიზარდა საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე!

ციფრები, მშრალი ციფრებიც კი ბევრისმეტყველია:

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო მრეწველობის მხრივ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებსაც კი ჩამორჩებოდა, როგორიც თურქეთი და ირანია. ხსენებაც კი არ იყო მრეწველობის მთელი რიგი წამყვანი დარგებისა. 1960 წელს საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 40-ჯერ გადიდდა 1913 წელთან შედარებით. ახლა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა იძლევა ელმავლებსა და სატვირთო ავტომანქანებს, საკაბოტაჟო ნაოსნობის გემებსა და ელექტროძრავებს, კოშკურა ამწეებსა და უნიკალურ ჩარხებს, ელექტროშემდუღებელ ხელსაწყოსა და ზუსტ ხელსაწყოებს, საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, თუჯსა და ფოლადს, ნაგლინსა და ფეროშენადნობებს, მარგანეცსა და ქვანახშირს, მარმარილოსა და ქაღალდს. საქართველოში ამჟამად იღებენ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს და აწარმოებენ 190-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს, ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებენ 4-ჯერ მეტ თუჯს, 2-ჯერ მეტ ფოლადს და 1,7-ჯერ მეტ ნაგლინს, ვიდრე ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიც იტალიაა. და რაც უფრო დამახასიათებელია, საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ნაწარმი გადის საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაში.

საყოველთაოდ ცნობილი გახდა ქართული ეროვნული კულტურის მიღწევები. ქართველ მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, მსახიობებს, რომელთა რიგებს მრავალი ქალის სახელი ამშვენებს, თავიანთი შემოქმედებით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ მთელი საბჭოთა კულტურის საერთო საგანძურში და მილიონობით საზღვარგარეთელი მეგობრის მოწონებასა და აღიარებას იმსახურებენ.

განა შეიძლება კულტურის დარგში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა იმაზე დიდი და თვალსაჩინო საბუთი, ვიდრე არსებობა ორი აკადემიისა — მეცნიერებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, 55 სამეცნიერო დაწესებულებით, 174-მდე დიდი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებისა, 18 უმაღლესი სასწავლებლისა, რომ არაფერი ვთქვათ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სპეციალური საშუალო სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების უფართოეს ქსელზე?

განა შეიძლება იმაზე დიდი დასტური საქართველოს მშრომელთა მაღალი კულტურული დონისა, ვიდრე ის, რომ რესპუბლიკაში ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოდის 315 კაცი საშუალო და არასრული საშუალო განათლებით და 38 კაცი უმაღლესი განათლებით?

მადლიერი ქართველი ხალხი, რომელიც ყველა თავის წარმატებას კანონიერად უმადლის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ხელმძღვანელობასა და მზრუნველობას, აღნიშნავს რა თავის დღესასწაულს, ძალების დაუზოგავად შრომობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ამაღლებისათვის, ამრავლებს თავის წვლილს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში.



# საქართველოს ქალებს

ძვირფასო დებო და მეგობრებო, სულითა და გულით მოგილოცავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს, გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

საქართველოდან მე ბევრი კარგი მოგონება წამომყვა. თქვენი ქვეყანა ჰგავს ჩემს ესპანეთს — ფერადოვნებით, ადამიანებით, მზით. ხალხიც ისეთივეა, როგორიც ჩემს ესპანეთში. თქვენ, ქალებმა ბევრი გააკეთეთ თქვენი მშვენიერი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის.

საქართველო ზღაპრულ ბაღნარს მაგონებს. საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში ყოფნამ თქვენი რესპუბლიკის წინაშე უდიდესი შესაძლებლობანი გადაშალა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების განვითარების მხრივ.

ძვირფასო დებო, დაე, ეს თარიღი კიდევ ერთი საფეხური იყოს თქვენი აქტიური ბრძოლისა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

კეთილი სურვილებით —

თქვენი **დოლორეს იბარური.**



# უცხოელთა თვალით

როდესაც მეკითხებიან რა მომეწონა ყველაზე მეტად საქართველოში, მე ვპასუხობ — ყველაფერი, დაწყებული მისი უკიდეგანო და გამომსახველი პეიზაჟებით, რომლებიც მხოლოდ შთაგონებული მხატვრის ფუნჯის ღირსია, მისი გულისხმიერი და კულტურული ხალხით დამთავრებული .

**სულმა ნუნიესი,**

არგენტინელი ჟურნალისტი ქალი.

თქვენი ქვეყანა — საქართველო — დედამიწის უმშვენიერესი კუთხეა. ჩვენ ვნახეთ რა კარგად და ლამაზად ცხოვრობენ საბჭოთა ადამიანები და როგორ აფასებენ ისინი ამ ცხოვრებას.

ჩვენ აგრეთვე ყველგან ვხედავდით რა შესანიშნავად აშენებთ თქვენ იმისათვის, რომ უფრო წარმტაცი გახადოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება .

**ემი ჰანდკე,**

გერმანელი ანტიფაშისტი.

შესანიშნავია კავკასია. მშვენიერია საქართველო. მისი ჰაერი გაჟღენთილია ფორთოხლისა და ლეღვის, ნუშისა და ატმის, კომშისა და ვაშლის, მსხლისა და ყურძნის, ჩაისა და მაგნოლიის სურნელით.

მაგრამ როგორ გამოიყურებოდა მე-18 საუკუნის საქართველო, ქვეყანა, რომელიც გადადიოდა ერთი მესაკუთრის ხელიდან მეორეში? დიდებული ტყეები გადაჩეხეს სპარსელებმა. მინდვრები გადაწვეს. ისმოდა მხოლოდ მგლებისა და ტურების ყმუილი. გლეხებს უტოვებდნენ მხოლოდ თვალებს და ამ თვალებით ისინი შეჰყურებდნენ არაჩვეულებრივად ღრმა ზეცას...

ოქტომბრის რევოლუციამ ფეხზე დააყენა ჩაგრული ხალხი. თვალუწვდენელ მინდვრებზე დაიწყეს მოსავლის აღება. ისევ გაისმა მუსიკისა და სიმღერის ხმები.

გაიზარდა ქართველი ხალხის სიხარული, ახლად დაიბადა ქვეყანა, როგორც ჩიტი ფენიკსი თავისი ფერფლიდან.

**დიმიტრუ კორბა,**

რუმინელი მწერალი.

მე ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ გადმოვცე ჩემი შთაბეჭდილებები — მრავალფეროვანი და ღრმა. ვერ ვპოულობ სიტყვებს, გადმოგცეთ ჩემი გრძნობები — მწერლის გულიდან გადმონახეთქი...

მზიური სამხრეთი. ქალაქი-ბაღი, აშენებული და გამშვენიერებული თვით ქართველების მიერ — საქართველოს სიამაყე — თბილისი! ამ ქალაქში პიონერიც და ღრმად მოხუციც, ყველა ცდილობს გაალამაზოს ის. და როცა უყურებ ქალაქს მთაწმინდიდან, თვალწინ გადაგეშლება ბაღი—ლამაზი შენობებით და მრავალრიცხოვანი ახალმშენებლობებით.

**მიგელ ასტურიასი,**

გვატემალელი მწერალი.

ნამდვილად გასაოცარია, რომ ისტორიისა და ხელოვნების ჩვენი სახელმძღვანელოები და უბრალოდ ისტორიები ასე ადვილად ივიწყებენ მსოფლიოს ამ საოცარ რაიონს.

დღევანდელობის სასწაულს, გასაგებ სასწაულს წარმოადგენს ამ დიდებული ეროვნული კულტურის აღზევება სოციალისტური საზოგადოების ძმურ ოჯახში. უდიდესი ისტორიული და არქეოლოგიური მუშაობა, რომელიც აქ 40 წლის განმავლობაში წარმოებს ამ აღზევების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია...

მე ვიყავი იქ, სადაც დაიბადა კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია.

**ჟილბერ ბლონი,**

ფრანგი ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კუბელი დები

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა კუბის მშვიდობის დაცვის დელეგაცია, მათ შორის იყო ალფა პალასიოს გაინსა. იგი ბატისტას დიქტატურის დროს მედიცინასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებას სწავლობდა, ხოლო უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ განაგრძობდა რევოლუციურ მოღვაწეობას და იმყოფებოდა სამოქალაქო წინააღმდეგობის მებრძოლთა რიგებში.

1959 წლის 1 იანვრიდან იგი მუშაობდა ბატისტების მომხრეთა მიერ გატაცებული ქონების დასაბრუნებელ სამინისტროში, ამჟამად კი მუშაობს ნაციონალური ბანკის საგარეო ვაჭრობის მედიკამენტების იმპორტის სამმართველოში.

ეს პატარა წერილი კუბელი ქალების ბრძოლის შესახებ ალფა პალასიოს გაინსამ სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის დაწერა.

მე მშვენიერი საქართველოს მიწაზე ვარ და ხელს ვართმევ ჩემს საყვარელ დებს, რომლებმაც კუბელი ქალების მსგავსად, ბრძოლით მოიპოვეს ეს მშვიდობიანი დღეები და მამაკაცების გვერდით ახლა თავიანთი ქვეყნის კეთილდღეობისათვის შრომობენ.



ამ პატარა წერილით მე მინდა ქართველ დებს მოკლედ მოვუთხრო კუბელ ქალებზე, რომლებმაც მამაკაცებთან ერთად, იარაღით დაამხეს ბატისტას სისხლიანი დიქტატურა და ახლა იბრძვიან რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობისათვის.

შვიდი წლის მანძილზე კუბელი ხალხი ჩვენი ბელადის ფიდელ კასტროს მეთაურობით ბატისტას სისხლიანი დიქტატურის დამხობისათვის იბრძოდა. კუბელი დედები თავიანთ შვილებს ბრძოლის ველზე აგზავნიდნენ და უნერგავდნენ თავისუფლებისათვის სიყვარულისა და შრომის დიად გრძნობებს. რევოლუციის მძიმე დღეებში კუბელი ქალები იყვნენ არამარტო სამოქალაქო წინააღმდეგობის მონაწილენი, არამედ შეიარაღდნენ და შექმნეს ქალთა ბატალიონები.

დიდ ბრძოლებში კუბელმა ქალებმა თავი ისახელეს თავიანთი სიმამაცით და სამშობლოს სიყვარულით. ისინი ბევრნი იყვნენ, ძალიან ბევრნი: რაულ კასტროს მეუღლე ვილმა ესპინი, ფიდელ კასტროს ერთგული თანამებრძოლი სელია სანჩეე, ჰაიდი სანტა მარია, მელბა ერნანდესი, კონკლუტა ფერნანდესი და სხვა მრავალი. ჩვენ ვამაყობთ მათი საქმეებით.

რევოლუციის შემდეგ თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა აღარ არის ოცნება კუბელი ქალებისათვის. დღეს ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი რესპუბლიკის მართვა-გამგეობის საქმეში და ბევრ მათგანს მთავრობაში მაღალი თანამდებობაც უკავია: მამაცი მებრძოლი პასტორიტა ნუნიესი — ეროვნული დანაზოგისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დირექტორია, მელბა ერნანდესი — კუბის ნავთის ინსტიტუტის თავმჯდომარის მოადგილე, ადა კიური — ჰიგიენის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი, მარტა ფრაიდე — ეროვნული ჰოსპიტლის დირექტორი და კუბის მშვიდობის მოძრაობისა და ხალხთა სუვერენიტეტის თავმჯდომარე და სხვ.

კუბელმა ქალებმა შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვეს თავიანთი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. და ახლა, როცა ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ დივერსიებით ძირი გამოუთხარონ რევოლუციის მონაპოვარს, ჩვენი ქალები ნებაყოფლობით ეწერებიან რევოლუციურ მილიციაში.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციური ორგანიზაციაა კუბელ ქალთა ფედერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ვილმა ესპინი. ეს ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს კუბის მოწინავე ქალებს, რომლებიც იბრძვიან რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა და მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის.

კუბელმა ქალებმა იციან — ისინი მარტო არ არიან სამართლიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი ძალები იზრდება ქართველი ქალების, მთელი საბჭოთა ქალებისა და მშვიდობის მომხრეთა ქვეყნების ქალთა აქტიური მხარდაჭერით. კუბელი ქალები მტკიცედ დგანან რევოლუციური მონაპოვრის დასაცავად, იბრძვიან და შრომობენ, წინ მიდიან ლოზუნგით: „სამშობლო ან სიკვდილი!“

ჩვენ გავიმარჯვებთ!

ალფა პალასიოს გაინსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზეიმია, ქართვლის დედავ!

ზეიმია, ქართვლის დედავ
საყვარელო ჩვენო დედავ,
უკვდავებად გაბადრულო,
ყველა ჩვენი მაისობის,
ყველა ჩვენი ვაჟკაცობის,
ყველა ჩვენი სიხარულის
სილაღევ და ნაკადულო.

გახსოვს, ბნელი, მძიმე წლები?
როს დაგვადო დრომ წყლულები,
ჩვენ გვშიოდა, შენ იკლებდი,
შენის ლუკმით გვარწყულებდი.

ჰოდა, მიტომ ვერ გაგვტეხეს,
მტერთ ვერ შეგვქმნეს
სათრეველად,
რადგან სითბო-მადლი შენი
სიმღერებით გვამრთელებდა.

ვგრგვინავდით და ვზანზარებდით,
ბრძოლით ცაზედ აღვიჭერით
და თუ ვბრწყინავთ ვაზნარებით,
ოქროფერილ ნარინჯებით,
ეს მიტომ, რომ თვალნი შენნი,
გული შენი, სუნთქვა შენი,
ამ სიცოცხლის დამამშვენი,
საყვარელო ჩვენო დედავ,
გზას შუქივით გვინათებდა.

დღეა დიდი გამარჯვების,
დიდი მიწის ამზევების,
მოვგუგუნებთ შვილნი შენნი
შენივ რწმენის აღზევებით.

მოვგრიალებთ ყოველ მხრიდან
სიტურფით და სიმაისით,
ფიქრი რაა, სიტყვა რაა,
გაბმული გვაქვს სიმად ისიც...

...ქორწილების მონატრულო,
ძეობების მონატრულო,
გიხაროდეს, ქართვლის დედავ,
მზევ, ქცეულო სინათლედა, —
ყველა ნატვრა გისრულდება,
ყველა სიტყვა გიმართლდება!

**მორის ფოცხიშვილი**



სოხუმი. რუსთაველის ქუჩა.

გაიზარდნენ, გალამაზდნენ და დამშვენდნენ რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები.



ქუთაისი. ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

საქართველო კურორტების ქვეყანაა. რესპუბლიკის 185-ზე მეტ სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ისვენებს.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოკვლეულია ათასზე მეტი სხვადასხვა სიმძლავრისა და ქიმიური შემადგენლობის მინერალური წყარო. მსოფლიოში განთქმულია ბორჯომის, წყალტუბოს, ჯავის, მენჯის, ცაიშის და სხვა მინერალური წყაროები.



თბილისი. ვაკის პარკი.

ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობენ მძლავრი სახელმწიფო, აგრეთვე სარაიონო, საკოლმეურნეო, ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე 831 ათას კილოვატს აღემატება. მარტო გასულ წელს ჩვენმა ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 3.800 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია — 191-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.



გუმათჰესი.



ზუგდიდი. პოლიკლინიკის შენობა.

1913 წელს საქართველოში იყო 41 სამკურნალო დაწესებულება, ამჟამად გვაქვს — 665.

დღეს რესპუბლიკაში 12.968 ექიმი (კბილის ექიმის გარდა) მუშაობს. ყოველ 10 ათას სულ მოსახლეზე მოდის 31,4 ექიმი, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში — 12,1; ინგლისში — 11,4; საფრანგეთში — 10,7; ბელგიაში — 12,2;





ჩაის პლანტაციაში.

თუ რევოლუციამდელ საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა 18 უმაღლეს სასწავლებელში 56.300 სტუდენტი სწავლობს.

რესპუბლიკის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის უმაღლესი განათლების მქონე 38 სპეციალისტი, რაც სამნახევარჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში, ოთხჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში და ცხრაჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში.



თბილისი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

საქართველოში ამჟამად ჩაის პლანტაციებს 53 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. საქართველო იძლევა ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ჩაის 97 პროცენტს.

თუ 1922 წელს ციტრუსოვან კულტურებს 400 ჰექტარი ფართობი ეკავა, ახლა 9,7 ათასი ჰექტარი უკავია.




# ეპოქის დაუწერელი პოემა

ყოფილი საყავრიისა და მისი მოსაზღვრე საქარის მიდამოებზე წამომართულ ქართული მარკის ფეროშენადნობთა ქარხნის რკინიგზით დასერილ ტერიტორიაზე ბევრი საინტერესო შეიძლება ნახოთ და გაიგონოთ. ნახავთ ვეება საწარმოო კორპუსებს და უზარმაზარ კონვეიერულ ტრანსფორმატორებს, სპეციალური ლიანდაგებით შემოზიდულ მრავალი დასახელების ნედლეულს, რომლებიც ბუნკერებში იმტვრევა და მერე სადნობ ღუმელებში ეშვება, ნახავთ კაზმის ჩატვირთვას და „ცეცხლთან ბრძოლას“ როგორც ადამიანის სიმამაცეზე შექმნილი წარმტაცი ლეგენდის ხორცშესხმულ სახეს. გაიგებთ, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა რენტაბელური საწარმოა, რომ მას შენადნობთა ასორტიმენტის მიხედვით პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში, რომ აქ წრთობას გადიან არამარტო ჩვენი, არამედ ჩინეთის, დემოკრატიული გერმანიის, ბულგარეთის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მეტალურგიული კადრები...

მრავალთა შორის გაიგებთ აგრეთვე, რომ აქ მუშაობს პირველი ქართველი მეტალურგი ქალი თამარ ვასილის ასული ახობაძე.

ჩვეულებრივზე პატარა და არაჩვეულებრივზე უბრალოა ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის კაბინეტი. ფანჯრის გასწვრივ მოთავსებულ მაგიდასთან ზის ის, მშვიდი და სანდომიანი. იმდენი სინაზე იხატება მის ღიმილში, რომ ერთბაშად გიძნელდება წარმოიდგინო ის უზარმაზარ სადნობ ღუმელებთან და ცხელ ლავებთან, საბჭოთა მეტალურგიის სათავეებთან... ყველა და ყველაფერი კი ამ ქალის შესახებ ლაპარაკობენ ფაქტების ჯიუტი ენით: თამარ ახობაძე ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის იმ თაობის წარმომადგენელია, რომლის ხელით იწერებოდა საბჭოთა ინტელიგენციის მიღწევათა პირველი ფურცლები.

ის ჩემს წინ იჯდა თავისი საოცარი სიმშვიდით და ყველაფერი, რაზეც მომითხრობდა, იყო გმირული, ამაღელვებელი, როგორც ეპოქის დაუწერელი პოემა.

ის დაიბადა ხელმოკლე ბათუმელი მუშის ოჯახში.

ბავშვებს, რომელ ეპოქაშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ყოველთვის აქვთ სიხარულის მომენტები. ასეთი მომენტები მცირეწლოვანი ბათუმელი გოგონასათვის მაშინ დგებოდა, როცა ის სამასალე საწყობში თავისი მომქანცველი შრომის გასამრჯელოს იღებდა: გროშები ხმარდებოდა მრავალრიცხოვან ოჯახს და საზღვარი არ ჰქონდა ბავშვის აღფრთოვანებულ ფანტაზიას... ეს იყო ეპოქის ტრაგედია, რომელიც ინთქმებოდა ბავშვური გულუბრყვილობის იდუმალებაში. ჰაერში კი დენთის სუნი იდგა და ბობოქრობდა ზღვისპირა ქალაქი ძლიერი ქარიშხლის წინ...

მოვიდა რევოლუცია. რუსეთის კვალდაკვალ საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა საქართველოშიც.

პოლიტიკოსის დიდი ჭკუა არ იყო საჭირო, რომ მომხდარი ამბების მნიშვნელობაში გარკვეულიყავი.

თამარ ახობაძეც ერთბაშად გაიმსჭვალა ახალი წყობილებისადმი მადლიერების გრძნობით. მაგრამ რევოლუცია, ეს ჯადოსნური ხე როდი იყო, რომელიც ოქროს ვაშლებს ისხამდა. ეს იყო ახალი ეპოქის მესია, რომელსაც მონობის სამყაროს ნანგრევებზე სრულიად სხვაგვარი ცხოვრების ყლორტები უნდა გაეხარებინა. იყო გაჭირვება და ზრდის სიძნელეები.

თამარი გულმოდგინედ ეუფლებოდა სიძნელეთა დაძლევის ხელოვნებას. მიზნისაკენ სავალ გზაზე ყოველი სიძნელე მისთვის იყო სტარტი ახალ დაბრკოლებათა გადასალახავად. ეპოქის მოთხოვნათა გაგებით იყო აღსავსე მისი გადაწყვეტილება — დაუფლებოდა მეტალურგის რთულ ხელობას.

1928 წელს დიდუბეში დაიწყო ფერომანგანუმის საცდელი ქარხნის მშენებლობა. აქ განხორციელებული ცდების შედეგად მიღებული ტექნიკური და ეკონომიური მონაცემების საფუძველზე უნდა აშენებულიყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. ჯერ კიდევ სტუდენტი, თამარ ახობაძე მუშაობას იწყებს დიდუბის საცდელ ღუმელზე ცვლის უფროსად და ქარხანასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ამზადებს კადრებს ქარხნისათვის. მან ქალთაგან პირველმა დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-მეტალურგიული ფაკულტეტი. დამთავრებისთანავე ის 15 მუშით მივლინებულ იქნა ჩელიაბინსკის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ეს იყო უდიდესი ყინვებისა და მოუსავლიანობის წელი. რკინიგზის ბაქანზე მის გასაცილებლად მისულთაგან ძალიან ცოტას სჯეროდა მისი შინ მშვიდობით დაბრუნება.

არასოდეს არ დაავიწყდება თამარს შორეული ჩელიაბინსკი. თავისი მკაცრი პეიზაჟებითა და ინდუსტრიული მაჯისცემით ეს ქალაქი მშობლიურ მოგონებებს იწვევდა მასში. აი ის, ბამბის ჯუბით, მიდის ჩელიაბინსკის ქარხნის კანტორისაკენ და სრულიად გარკვევით ესმის მისი მისამართით წარმოთქმული გაკვირვების სიტყვები: „იცით, ეს ინჟინერია!“...

ძვირფასი გამოცდილებით გამდიდრებული თამარი კვლავ მშობლიურ საქართველოშია. მასთან ერთად წასულ 15 მუშასთან ერთად ის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გახსნის პირველ დღიდანვე მუშაობს აქ. ესენი ქართველ მეტალურგთა კადრის ოქროს ფონდს შეადგენენ.

1933 წლის 30 ოქტომბერი კარგად ახსოვთ ზესტაფონში. ეს არის პირველი ქართული შენადნობის მიღების თარიღი.

ვიღაცამ მიღწევათა ციფრებს ციფრების ჰარმონია უწოდა. ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ ფაქტების ჰარმონიაზეც. თამარ ახობაძის მოღვაწეობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში აი როგორ ფაქტობრივ ჰარმონიაში წარმოგვიდგება: ის მუშაობდა ცვლის უფროსად, საწარმოო-ტექნიკურ განყოფილებაში ტექნიკურ პროპაგანდაზე, ქარხანასთან არსებული სოციალისტური შრომის ოსტატთა ორწლიანი კურსების დირექტორად, მარგანეცის საამქროს უფროსად, ელექტროდების საამქროს უფროსად, ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ, 1944 წლიდან დღემდე — ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსად; აქვს რაციონალიზატორული გამოგონება სილიკატური აგურის წარმოებაში ნარჩენების გამოყენების შესახებ; სამამულო ომის წლებში რამდენიმე მუშასთან ერთად მივლინებული იყო სომხეთში, კიროვაკანის ქიმიურ ქარხანაში (მაშინ იქ სამხედრო მრეწველობის საჭიროებისათვის ადნობდნენ კარბიტს) და სომეხ თანამშრომლებს ეხმარებოდა ფეროსილიციუმის დნობის ათვისებაში; 1947 წელს ზაპოროჟიეში იქაურ მეტალურგებს ეხმარებოდა საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმის ტექნიკური პროცესების დაუფლებაში, ხოლო შემდეგ იქვე, ზაპოროჟიეს ქარხნის ხელმძღვანელობის

თხოვნით. მონაწილეობას იღებდა სპეციალისტთა თათბირში, სადაც რამდენიმე საქმიანი წინადადებით გამოვიდა; დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით. და რაც ყველაზე მეტად გვხვდება თვალში — მთელი ეს სერიოზული, საპასუხისმგებლო მუშაობა შესანიშნავად აქვს შეხამებული უნარიან დიასახლისობასთან.

მის წინ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ბიულეტენის ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერია. ვინ იცის, მერამდენედ კითხულობს სტატიას „მოსაპირკეთებელი ფილაკები პოლისტიროლისაგან“. სტატიის თანაავტორია თბილისის პლასტმასის ქარხნის საამქროს უფროსი, ახალგაზრდა ინჟინერი გურამ სიორიძე. ეს თამარ ახობაძის ერთადერთი შვილია.

— რომ მე მხოლოდ ერთი შვილის დედა ვარ, — ამბობს იგი, — ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომაა (ჩვენ დავუმატებდით: ერთადერთი შეცდომა), მაგრამ შვილებს ბევრ შემთხვევაში კარგად ეხერხებათ მშობლების შეცდომების გათვალისწინება...

ზესტაფონში ყველა იცნობს თამარ ახობაძეს და მეც ადვილად მოვხვდი მის ბინაში. ის ქალაქის ცენტრში, ფეროშენადნობთა ქარხნის 45-ბინიანი კეთილმოწყობილი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობს თავის მეუღლესთან — ქარხნის მთავარ ინჟინერ, სტალინური პრემიის ლაურეატ გიორგი სიორიძესთან ერთად.

შავი სატინის ხალათი კეთილშობილური უბრალოებით ავსებს მას. და აქ, ოჯახური მკაცრი სისადავის ოთხკედელშუა, რაღაც უჩვეულო ადამიანური სითბო ვიგრძენი მასში. ის ლაპარაკობდა უკვე არა ბრძმედსა და ბლუმინგზე, არა რკინაში მინარევების შემცველობის ხარისხსა და ქარხნის წარმადობის ზრდის ამოცანებზე, არამედ ყველაზე ჩვეულებრივ საკითხებზე — შვილსა და შვილიშვილზე, ქმარსა და ახლობლებზე, ის ლაპარაკობდა იმაზე, რომ საგრძნობლად შეელახა ჯანმრთელობა და უჩიოდა წნევას. სიტყვა „პენსია“ შეურაცხმყოფელად ჟღერდა მისთვის და მშობლიური საქმისადმი სამსახური კვლავ სიკეთისა და სულიერი სილამაზის უნაზეს ემბლემად ესახებოდა.

— მოკლე კაბით მოვედი ქარხანაში და უკვე გაჭაღარავებული, ასე ადვილად ვერ შეველევი მას, — თქვა და ცრემლები შევნიშნე მის თვალებზე.

მოკლეკაბიანი ქალიშვილი დარჩა წარსულის ზღურბლთან, და რა ვუყოთ, თუ ის ფიზიკურად ისეთი ძლიერი აღარ არის. ის სამი ათეული წელია სჭედს ფოლადის სიმტკიცეს და მისი ძლიერება შემორჩათ ეპოქის უმძლავრეს გიგანტებს.

**ნანული ქოჩიშვილი,**



თამარ ახობაძე ფოტო დ. მუმლაძის

მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1960 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა 40-ჯერ, აქედან, მსხვილი მრეწველობისა — 112-ჯერ. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში იღებენ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს, ვიდრე 1913 წელს.

ლითონის გამოდნობის მხრივ ერთ სულ მოსახლეზე საქართველო უსწრებს ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია და იტალია.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იქსოვება 50 მილიონი მეტრი ბამბის, 20 მილიონი მეტრი აბრეშუმის და 5 მილიონი მეტრი შალის ქსოვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ჩოგოვაძე

# პირველი პაემანი



მხატვარი დ. ერისთავი

სიბნელეში ნელა გავაღე თვალები. გავირინდე, შემდეგ საწოლიდან სწრაფად წამოვდექი და ფანჯარას მივვარდი. გული შემეკუმშა, ქარმა შეარხია ჭადარი და წვიმის მსხვილი წვეთები შემომასხურა.

ფანჯარა შემოვხურე.

რამ გამაღვიძა, ქარის ხმაურმა თუ შენზე ფიქრმა? შემოვბრუნდი. სარკესთან მივედი. ჩემმა ორეულმა თანაგრძნობით შემომხედა. ღრმად ამოვისუნთქე. აბურდულ თმაზე ხელი გადავისვი. კარადის კარი გამოვაღე. ცისფრად შემომანათა ჩემმა ახალმა კაბამ. ფრთხილად ჩამოვიღე, მივიფარე და სარკეში ჩემს თავს ყურადღებით შევხედე. არ მომეწონა: სასაცილო ვიყავი ნამძინარევი თვალებით, აშლილი თმით და საშინაო ფოსტლებით. კაბას მივუალერსე და ისევ შენ გამახსენდი.

საათს შევხედე. ჩქარა ხუთჯერ დარეკავს. წვიმს. ქარიც გულდაგულ უბერავს. მივედი, ფანჯარა კვლავ გავაღე. ჭადარი შეირხა, თითქოს მომესალმა. ხელი გადავწვდი, მისი ფოთლები ჩემს ფანჯრებთან მოდის. უსიამოვნო სისველე ვიგრძენი. შემაჟრჟოლა.

წვიმა კი ისევ ბარაქიანად მოდის. სრულებით არ ფიქრობს ჩემზე. ცას ავხედე. გულგრილად დამყურებდა.

უცქერ შენ ახლა ამ ცას? გესმის ქარის ხმაური? წვიმა შენც გასხურებს წვეთებს? ფიქრობ ახლა ჩემზე? ან იქნებ სიზმრად მხედავ ცისფერ კაბაში? რა სულელი ვარ, რა იცი, რომ მაქვს ახალი, ცისფერი კაბა, ძალიან ლამაზი. რატომ მაინცდამაინც ცისფერ კაბაში? ხომ შეიძლება სხვა ჩაიცვას ადამიანმა. შინდისფერი, ანდა კიდევ...

მე დღეს პირველად მოვდივარ შენთან. მე დღეს პირველად მოვდივარ პაემანზე. ნუთუ ეს დღე ჩვეულებრივი იქნება? წვიმა... წვიმდა რამდენიმე დღის წინ, წვიმა იქნება დღესაც. მე ჩავიცვამ შინდისფერ კაბას და მოვალ შენთან. შემომხედავ ერთბაშად, სწრაფად. ალბათ, გესიამოვნება, რომ მეცმევა კაბა შინდისფერი.

როცა პირველად გავიგონე მე შენი ხმა, შემთხვევით, ღიმილით თქვი, რომ ლამაზია ჩემი შინდისფერი კაბა.

შენ ხომ არ გინახავს ცისფერი?

... მთელი დღე წვიმდა. ლექციებზე გაბრუებული ვიჯექი. მერხიდან დასვენებებზეც არ წამოვმდგარვარ.

ინსტიტუტის ეზოში მაღალი ხეები დგას. ქარი ნელა არხევს მათ. წვიმის წვეთები ხმაურით ეცემა ფოთლებს და ფანჯრის მინებს.

დამთავრდა ლექცია.

წვიმს დაუსრულებლად.

იცინიან, დარბიან, თამაშობენ. ზოგი კითხულობს. ერთი ბოლო მერხზე, კუთხეში ზის თავჩაღუნული. იქნებ, მასაც აწუხებს წვიმა... ვინ იცის, რამდენი რამ აწუხებს და ახარებს ადამიანს, ზოგჯერ სულ უბრალო, უმნიშვნელო.

— რა ცუდია, რომ წვიმს. წახვალ? — მესმის ჩემი მეგობრის ხმა. მან ყველაფერი იცის და ყველაფერი აინტერესებს. გაკვირვებით შევხედე:

— შენ რა, არ წახვიდოდი?

გადაიკისკისა:

— თუნდაც ქარიშხალი ამოვარდნილიყო...

რომ არ მოვიდეს? — ამაზე კი ერთხელაც არ მიფიქრია. გაჯავრებით ავხედე ცას, მას დაკარგვია სინაზე, უშნოდ მოქუფრულა. საღამოს მაინც არ იწვიმებდეს! მერე რა, რომ დღეს არ მაცვია ცისფერი კაბა, ყოველთვის არ იწვიმებს და ჩვენც დღეს ხომ უკანასკნელად არ ვხვდებით? წინ კიდევ რამდენი შეხვედრაა. მთავარია, რომ მოხვიდე წვიმაში, ვიაროთ წვიმაში, ვიცინოთ წვიმაში...

ლექციების შემდეგ ფაკულტეტის კრება ჩატარდა. ფანჯრიდან მოშორებით დავჯექი, რომ არ მესმინა ქარის ხმა, რომ არ მეცქირა, როგორ ეცემა წვიმის წვეთები ფოთლებს და ფანჯრის მინებს.

თვალები მაინც იქით გარბის. სმენა მაინც იქით მაქვს. კრება დამთავრდა სირცხვილით სად გავამხილო, არაფერი მომისმენია.

„შვიდი სრულდება". — მომესმა ხმა. შევკრთი. შვიდზე ხომ შენ მელოდები!

„გარეთ არ გაისვლება, ისეთი წვიმაა", — ამბობს ვიღაცა.

„ვიყოთ აქ. ხვალ დილით მაინც მოსასვლელები ვართ", — იცინის ერთი.

„იცინეთ, თქვენ არავინ გელით, თქვენ არ მიდიხართ პირველ პაემანზე", — ვფიქრობ და სწრაფად ვეხვევი საწვიმარ ლაბადაში.

„დღეს არ გადაიღებს, იკითხოს მან, ვისაც პაემანი ჩაეშლება", — ხუმრობს მეორე.

„გაგიხმეს ენა!" — გავიფიქრე გაჯავრებულმა, ამხანაგებს დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი.

— აბა, შენ იცი, ხვალ ცოტა ადრე მოდი. ამაღამ არ დამეძინება, რა მომასვენებს, სანამ გნახავ, — მომძახის ჩემი მეგობარი.

— დაბრუნდი, უნდა გავიქცე, მაგვიანდება, — ვეუბნები და გავრბივარ.

შორიდან შემნიშნე და წამოხვედი ჩემს შესახვედრად. ამოვისუნთქე. მოხვედი, მოვედი, შემომხედე და გაგეღიმა. შემდეგ საათს დახედე, არაფერი თქვი, კვლავ შემომხედე, თითი დამიქნიე, ათი წუთი დავაგვიანე.

მივდივართ. ჩანთა ხელიდან ხელში გადამაქვს. დროგამოშვებით შევხედავთ ხოლმე ერთმანეთს. შენი თმიდან ჩამოდის წვიმის წვეთები. ჩემი თმიდანაც.

კინოთეატრთან შევჩერდით. „პირველი პაემანი" — ლამაზი ასოებით აწერია აფიშაზე.

შევედით. ასეთი იყო მათი პირველი პაემანიც: წვიმა და ქარი...

სახლამდე მომაცილე. გამოთხოვებისას ხელი ჩამომართვი. შენ ძლიერი, მამაკაცური ხელები გაქვს. ამოგხედე. შენ მეტად მიმზიდველი სახე გაქვს, ლამაზი, ალერსიანი თვალები და მტკიცე ხასიათის გამომხატველი, ჯიუტად მოკუმული ტუჩები.

ცოტა ხანს გიცქირე, შემდეგ შემოვბრუნდი. შენ ისევ მიყურებდი, შემდეგ ხელი დამიქნიე და წახვედი. ოთახში შემოვედი თუ არა, სარკეში ჩემი თავი დავინახე, წყალში ამოვლებულ ბელუ-

რას ვგავდი. ახლოს მივედი. თმიდან კვლავ ჩამომდიოდა წვიმის წვეთები. მარცხენა ლოყაზე, ქვემოთ, ნიკაპთან, გამომწვევად შემომყურებდა მელნის ლაქა.

...მერე რა, წვიმდა, მაგრამ მეცვა შინდისფერი კაბა და ვიყავი პირველ პაემანზე. და მე ვიცინი, ვიცინი ბედნიერთა სიცილით.

ჩემმა დამ შეშფოთებით გაახილა თვალები, მიყურა გაოცებულმა და შემდეგ მასაც გაეცინა. მან არაფერი არ იცის, ის ხომ ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისაა. მე მივედი მასთან, მოვეხვიე, ვკოცნი, ვკოცნი...

„სველი ხარ, გადი“ — მიყვირის.

მერე რა, რომ სველი ვარ, მე ხომ პაემანზე ვიყავი, პირველ პაემანზე!

ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, თუმცა არასოდეს ვამბობდით ამის შესახებ. ჩვენ ვლაპარაკობდით ყველაფერზე და არასოდეს ჩვენს სიყვარულზე.

მე სასოებით გიყურებდი შენ, ძლიერს, ვაჟკაცურს, შენ ხშირად მიამბობდი შენს ქარხანაზე, შენს საქმიანობაზე, ხშირად ვნახულობდი მე შენს ნახაზებს და ვამაყობდი, რომ შენ ასეთი კარგი ხარ...

იმ წელს დავამთავრე ინსტიტუტი. სამუშაოდ სოფელში გამგზავნეს. როცა გითხარი, გაკვირვებით შემომხედე, არ დაიჯერე, გაიცინე, როცა დარწმუნდი, გაჯავრდი და სწრაფად წახვედი. რატომ? რატომ გაჯავრდი, რატომ წახვედი? მეც მწყინს, რომ ცოტა ხანს დაგშორდები, მაგრამ ჩვენი სიყვარული ხომ გაგრძელდება. მეც მინდა ვნახო ნამდვილი ცხოვრება. შენ ინჟინერი ხარ, მუშაობ, გიყვარს შენი საქმე, შენი ქარხანა, მეც მიყვარხარ შენ ასეთი.

მე მასწავლებელი ვარ, მიყვარს ბავშვები, მიყვარს ჩემი საქმე, რომელიც ჯერ კიდევ წინ არის.

მე ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა შევალ კლასში და დავიწყებ ჩემს პირველ გაკვეთილს, შემდეგ მეორეს, მესამეს... შენ კი გინდა მხოლოდ შენ გიყურო, შენზე ვფიქრობდე, სხვა შენს გარდა არ არსებობდეს არავინ და არაფერი.

მთელი ღამე ვფიქრობდი შენზე და შენს სიტყვებზე.

ჩვენ თითქმის ყოველ საღამოს ერთად ვიყავით. ვლაპარაკობდით ყველაფერზე და გვესმოდა ერთმანეთის. ჩვენ არასოდეს არ ვლაპარაკობდით ჩვენს სიყვარულზე და მე მეგონა, აქაც გვესმოდა ერთმანეთის.

ჩვენ აღარ ვხვდებით ერთმანეთს. ... გადის დღეები უშენოდ, გადის დღეები მზიანი და ღრუბლიანი, ცხელი და ცივი. მე იდუმლად ყოველთვის მოველი ქარსა და წვიმას, იგი მაგონებს ჩემს დაკარგულ პირველ პაემანს.

მე ახლა სოფელში ვარ. მე მიყვარს ჩემი სკოლა, ჩემი ბავშვები. მათი სიცილი მავიწყებს ტკივილს. მე მათთანა ვარ და ხშირად მაგონდები შენ, როგორ ვსაუბრობდით ჩვენს მომავალზე, ჩვენს შვილზე... მე მოწაფეებთან ერთად ვკითხულობ ახალ ამბებს და მაგონდები შენ, ნახაზებით ხელში რომ მოდიოდი ჩემთან ქარხნიდან, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი და ძლიერი.

მაგონდები და მიკვირს, რატომ არ გესმოდა ჩემი, რატომ არ გიყვარდა ჩემი საქმე, რატომ შემაქციე ზურგი და დამტოვე? რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი, რამდენი საინტერესო!

მეორედ მოვიდა სოფელში შემოდგომა, შენ კი ერთხელაც არ მოხვედი. მე არ ვიცი, სადა ხარ ახლა შენ, რას აკეთებ, რას ფიქრობ. გაგონდება ჩვენი პირველი პაემანი, შემდეგი შეხვედრები? უკანასკნელი?

ამ ხნის განმავლობაში იყო დღე მრავალნაირი. მზე იცინოდა მთელი სიხალისით, ჩიტები გალობდნენ სიყვარულის და სიხარულის ჰიმნს, იყო გახურებული მუშაობა სოფლის მინდვრებზე, ჩვენს სკოლაში, ჩემს პატარებთან...

ვბრუნდები სკოლიდან დაღლილი და თან კმაყოფილი, მელის ჩემი პატარა ოთახი, ჩემი მაგიდა, რვეულები; მელის შენი სურათი ჩემს საწოლთან. მე გული მტკივა, რომ შენ წახვედი, მაგრამ მიყვარს შენი სურათი, რადგანაც ის ჩემს პირველ პაემანს მაგონებს.

კვლავ მოვიდა ის დღე, ის საღამო, მაგრამ მე არ მოვდივარ შენთან, თუმცა ყოველთვის ამ დღეს ველი იდუმალი მღელვარებით. იქნებ შენც გაგახსენდეს იგი და მოხვიდე ჩემთან... მე მახსენდება შენი ძლიერი ხელები, ჟიუტად მოკუმული ტუჩები, შენი სიტყვები:

„მიდიხარ? წადი... დამთავრდა ყველაფერი!“

და მე მაინც მაგონდება ჩემი პირველი პაემანი, და არა უკანასკნელი.





# ხელოვნების მწვერვალებისაკენ

**ჩვენი რესპუბლიკის გარეთ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს ბევრი ქართველი ქალი. მათ თავიანთი უანგარო შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში. ჩვენი ჟურნალის თებერვლისა და მარტის ნომრებში მოთხრობილი იყო მეტალურგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის ელენე ჯაფარიძის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ანტონინა შუბლაძისა და მოცარტის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის, პიანისტი ქალის მარგარიტა ჩხეიძის შესახებ.**

**ჟურნალის ამ ნომერში ჩვენ მოგითხრობთ სტალინური პრემიის ლაურეატის, რეჟისორ მერი ანჯაფარიძის შესახებ.**

ხუთი წუთიც და მე მავიწყდება, რომ ვიმყოფები მოსკოვში, რომ გარეთ თოვს, ცივა. მის ოთახში პაწია ქართულ ქოთნებში ხარობს მწვანე ბალახები და ყვავილები, კედლებიდან მიმზერენ ლადო გუდიაშვილის, თამარ აბაკელიას, ელენე ახვლედიანის, ვახტანგ ონიანის, დიმა ერისთავის ნახატები. დაბალ ტახტზე აფენია ქართული ფარდაგი და იქვე ჰკიდია სოფიკო ჭიაურელის პორტრეტი...

მას ნაცრისფერი ქვედა კაბა აცვია, ყავისფერი სადა ბლუზა. თმა წლებს შეუვერცხლავს, სახესაც სპილენძისფერი გადაჰკრავს და საოცრად მაგონებს დას... ვერიკო ანჯაფარიძეს.

... თავის შემოქმედებით ცხოვრებას მერი ანჯაფარიძე ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლად თვლის, მაგრამ ასე არ ფიქრობენ სხვები...

ჩვენ ვიცით, რა რთული გზით მიდიოდნენ კინოხელოვნების მწვერვალებისაკენ დიდი რეჟისორები, ხშირად დასცდენიათ მათ ფეხი, ხშირად განუცდიათ მარცხი...

ამ რთულ გზას მერი ანჯაფარიძე 1933 წელს შეუდგა. ჯერ თითქოს სრულიად შემთხვევით, მერე კი...

... იმ ხანად მერის უკვე ჰქონდა დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი. გათხოვდა და ქმართან ერთად მუშაობა დაიწყო მოსკოვში. მისი სიძე — მიხეილ ჭიაურელი ერთ-ერთი ფილმის სცენარზე მუშაობდა მაშინ და მერი ჯერ უბრალოდ დაინტერესდა. ხოლო როცა მ. ჭიაურელმა „გიორგი სააკაძის“ გადაღება დაიწყო, მერი ამ ფილმში რეჟისორის ასისტენტად მიიწვია...

და მერე ძნელი გახდა მისი ცხოვრების წარმოდგენა უფილმოდ..

„დაუვიწყარი 1919 წელი“, „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“, „სკანდერბეგი“, „ბორის გოდუნოვი“, „ვოლნიცა“, და ბოლოს, „ტანჯვის გზაზე“ (ა. ტოლსტოის რომანის მიხედვით). ამ ფილმს მარია ზარეცკაიასთან და კონსტანტინე პოლონსკისთან ერთად რეჟისორობდა მერი ანჯაფარიძე.

ეს იყო დაუვიწყარი დღეები და წლები. თვითეული ფილმი თითქოს იყო ახლად დაწყებული ცხოვრება. შეხვედრები და მუშაობა შესანიშნავ ადამიანებთან, გამოჩენილ კომპოზიტორებთან, მწერლებთან, რეჟისორებთან, მსახიობებთან — სერგეი იუტკევიჩთან და შოსტაკოვიჩთან, პავლე ბოგოლიუბოვთან და ბორის ივანოვთან, გრიგორი როშალთან, აკაკი ხორავასთან... და ყოველი შეხვედრა, ყოველი დღე და, ბოლოს, ყოველი ფილმი ახალ საინტერესო ფურცელს წერდა მის ბიოგრაფიაში. სხვადასხვა ფილმზე მუშაობის დროს მან მოიარა ევროპის მთელი რიგი ქვეყნები — ჩეხოსლოვაკია, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, ალბანეთი. იზრდებოდა, თანდათან იხვეწებოდა მისი გემოვნება.

და, აი, მერი ანჯაფარიძე დიდი, კინოში მხოლოდ ძალიან დიდი ხნის მუშაობის შემდეგ, შეუდგა დამოუკიდებლად ფილმის გადაღებას. და სრულიად მოულოდნელად, მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოვიდა მისი „ანიუტა“ (ჩეხოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით), იგი მოგვევლინა არამარტო როგორც ნიჭიერი ხელოვანი, არამედ როგორც დამთავრებული შემოქმედი, რომელსაც აქვს დიდი პროფესიული ძალა, რომელსაც დამაჯერებლად, ზუსტად და გონიერად მიჰყავს ამბავი ეკრანზე.

ეს არ ყოფილა შემთხვევითი. ღამეები დასთენებია ჩეხოვის კითხვაში და მერე არ ასვენებდნენ კადრები. მისდაუნებურად ისინი გაიელვებდნენ, ქრებოდნენ, ისევ გაიელვებდნენ... ის ხედავდა რა არაჩვეულებრივად კინემატოგრაფიულია ა. ჩეხოვის ნაწარმოებები, ხედავდა, რომ შეიძლება მისი თითქმის ყველა მოთხრობის გადაღება და თვითეულის გადაღება — რეჟისორულად მოითხოვს ისეთსავე მუშაობას, როგორც მუშაობდა მოთხრობაზე თვით ჩეხოვი — ძუნწად...

...ფილმი ათასობით ადამიანმა ნახა.

საერთო გადაწყვეტით, თვითეული მიზანსცენით, ყოველი დეტალით რეჟისორს დაჟინებით მოაქვს ნაწარმოების აზრი მაყურებლამდე, შესანიშნავად ხსნის ავტორის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი და ამასთან ყველაფერს ახლავს რეჟისორის თანამედროვე ხედვა.

„ანიუტაზე“ მუშაობის დროს მერი განსაკუთრებით ღელავდა. მისი შვილი — გია დანელია ი. ტალანკინთან ერთად იმავე დროს იღებდა თავის პირველ ფილმს —„სერიოჟას“ (ვ. პანოვას მოთხრობის მიხედვით).

ღამე დედა ფეხაკრეფით უახლოვდებოდა ვაჟიშვილის ოთახს, კარის ღრიჭოდან ხედავდა ლანდს — ის დადიოდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე. მერი ფრთხილად შედიოდა, უხმოდ ჩამოჯდებოდა სავარძელზე და გიამ იცოდა — ახლა ყველაზე კარგად მისი ესმოდა დედას. ასეთ ღამეებში არც ერთს არ ეკარებოდა ძილი... მხოლოდ ძალიან გვიან, როცა მერი ბრუნდებოდა თავის ოთახში, დიდხანს, კიდევ დიდხანს ედგა თვალწინ შვილი, სახეზე ხელებაფარებული:

— დედა, დედა... რას მიშვება „სერიოჟა“! არც ერთი წუთით, არც ერთი წუთით არ მტოვებს, არ მცილდება თავიდან კადრები... კადრები...

ასე მიდიოდა მრავალი ღამე. ყოველი განვლილი კი ტოვებდა კვალს ქაღალდზე, სულშიც...

და „სერიოჟამ“ გაიმარჯვა. XII საერთაშორისო კინოფესტივალზე კარლოვი ვარში ფილმს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — ფესტივალის დიდი პრემია — „ბროლის გლობუსი“...

გულახდილად რომ ითქვას, მერი ანჯაფარიძეს ახლა უკვე შვილის წარმატებები უფროახარებს, ვიდრე თავისი. და მაინც არ ისვენებს, მისდაუნებურად ეძებს ახალს, ეჭიდება ახალ აზრს და ისევ მოდის ის ნაცნობი, ძნელი და მაინც კარგი ღამეები...

... შუაღამე გადასულა. ძინავთ პატარა ქოთნებში ბალახებს, ყვავილებს. ძინავს პატარა შვილიშვილს — ორი წლის კოლიას. მხოლოდ მერის სამუშაო მაგიდაზე ანთია ნათურა და დევს დაუმთავრებელი სცენარი — ვიქტორ კონეცკის „ჩვენი მზარეული ვასია“...

**ლია გოგიაშვილი.**

ქ. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაკობ ნიკოლაძე
ლენინი „ისკრის" შემქმნელი



თ. აბაკელია
„მანდარინი ოჯახი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქ. მაღლაშვილი „ს. ზაქარიაძე"



ლ. გუდიაშვილი „მეზურნეები"



ნ. იანქოშვილი „მეშახტე"





უ. ჯაფარიძე „კოლმეურნე"



სცენა ბალეტიდან „დემონი" დემონი—ვ. ჭაბუკიანი



სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი.
მსახიობი შ. შეკოიანი პიესაში „ავი სული"

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. სცენა სპექტაკლიდან „ბახტრიონი". ანდარეზი—კ. მახარაძე, ლელა—ზ. კვერენჩხილაძე.



გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი. მსახიობი ნ. ბურმისტროვა პიესაში „მედაფდაფე".



„მარინე" მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მარინე—მ. ჯაფარიძე.





# ჟურნალისტი

ამბავი შეიძლება დავიწყოთ ისე, როგორც ზღაპარში. იყო გოგონა მოხდენილი, ჭკვიანი, ფიქრიანი. დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფად. უყვარდა წიგნები, გორკი — ყველაზე უფრო. ერთხელ დაწერა კიდეც გორკიზე მისი საიუბილეო თარიღის გამო და რედაქციაში მიიტანა. საღამოს ექვსი საათი იყო, გაზეთის მაკეტი შედგენილი, — დააგვიანეთო უთხრეს, მაინც წაიკითხეს, წაიკითხეს, მოეწონათ და დაბეჭდეს.

დრო იყო სექტემბერი, წელი — 1932.

გაზეთი, სადაც პირველად დაიბეჭდა ახალბედა ჟურნალისტი მარგო თომაძე იყო „ახალგაზრდა კომუნისტი". მალე ალაპარაკდნენ ახლადმოვლენილ ჟურნალისტ ქალიშვილზე, ხოლო ერთი კვირის თავზე მტვრიან წიგნებში თავწარგული ბიბლიოგრაფი გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად აიყვანეს.

ერთხელ მარგო თომაძემ დაწერა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გაუთავებელი რემონტის თაობაზე ფელეტონი „მოზარდი დავაჟკაცდა". ბრალი დირექციას დასდო. მეორე დღეს თეატრის დირექტორი გაცეცხლებული მიიჭრა „კომუნისტის" რედაქციაში, ავტორი გამოიძახეს, დაინახა თუ არა, რომ მისი საქვეყნოდ გამოტანის მიზეზი ახალგაზრდა ქალი იყო, მოუზომავად აყვირდა.

როცა მარგოს შეეკითხნენ, აღმოჩნდა, რომ უფრო მძიმე საბუთები ამ დღისთვის შემოენახა. მომჩივანი პირში ჩალაგამოვლებული წავიდა.

წერდა რეცენზიებს, ლიტერატურულ მიმოხილვებს, პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ სტატიებს, ეხებოდა საკამათო საყოფაცხოვრებო საკითხებს, მაგრამ ყველაზე მეტად მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრებაზე წერდა.

ერთხელ რედაქციაში მოვიდა გამურული ბიჭი და განაცხადა, რომ ქალაქის განაპირა ჯურღმულებში პაცანები ვცხოვრობთო, რომ მე მსურს ადამიანურ ცხოვრებას დავუბრუნდე, მაგრამ ამხანაგები წამოსვლას არ მაპატიებენო.

საჭირო იყო ადგილზე მისვლა, მოლაპარაკება, გადმობირება.

— ვინ წავა? — იკითხა რედაქტორმა.

ვაჟკაცებმა თავი შეიკავეს, მაშინ ქალიშვილი წავიდა...

...რის ვაივაგლახით მიაღწია მარგო თომაძემ მინიშნებულ ჯურღმულებს, ფრთხილად, ხელების ფათურით ჩაეშვა შიგ და ცეცხლით განათებულ შავად მოლაპლაპე სახეებთან აღმოჩნდა. თავზარი დაეცა, მაგრამ გამაგრება შესძლო, დამხვდურების ღრიალში —„ეს ვინ მოსულა", „გაეთრიე აქედან"— იგი, ვითომდა, მშვიდი, ქვაზე ჩამოჯდა და წინასწარ მომზადებული მჯესუმზირა გააკნატუნა. მათაც შესთავაზა.

— საქმისათვის მოვედი, საჩხუბრად არა, — ღიმილით თქვა მოსულმა, — მოვედი, იქნებ მუშაობას ისურვებდა ვინმე თქვენგანი.

— გვატყუებ! — უხეშად ისროლეს აქეთ-იქიდან.

— ვსინჯოთ! — სთქვა მოსულმა, — ჯერ ერთ-ერთი წამოვიდეს ჩემთან, თუნდაც აი, ეს, — და ხელი მობუზულ „მაბეზღარას" დაადო,— მოვაწყობთ, გავაკაცებთ, თუ მოგეწონებათ, თქვენც მოდით.

წინადადება მიიღეს, შემდეგ მურიანმა სახეებმა გზამდე გააცილეს.

* * *

გზა მაღლა ადიოდა.

მარგო თომაძე, „ნორჩი ლენინელის" პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთ „კოლექტივიზაციის" კომკავშირული განყოფილების აქტიური თანამშრომელი ხდება. ამავე დროს „კომუნისტში" და „ახალგაზრდა კომუნისტში" იბეჭდება მისი ნარკვევები: „მეტი ყურადღება საბავშვო წიგნს", „ლაქა თეთრ ქაღალდზე", „მახინჯაურის ყვავილები". ამ ხანებში ასპირანტურაშიც შედის ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობაზე.

მერე ჟურნალ „პიონერის" რედაქტორია, მალე ისევ „ნორჩ ლენინელში" ბრუნდება რედაქტორად. ერთი წლის შემდეგ მას ვხედავთ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ...

იგონებს: კახეთი თუ იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, ქართლი, აჭარა — მთლად საქართველო შემოუვლია

ახალგაზრდა ქალს — პროპაგანდისტს, უნახავს ბევრი ურწმუნო, ახალი საქმისათვის ეჭვით მაცქერალი, მოკრიკიტე. აქ გაიდება განიერი ხიდი, აშენდება სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი, სავადმყოფო — ეუბნებოდა იგი გლეხებს, ისინი უსმენდნენ, უსმენდნენ ყურადღებით, გულდასმით და მხრებს უნდობლად იჩეჩავდნენ. ზოგი იკითხავდა:

— მართლა დავაღწევთ თავს სიღარიბეს?

— მართლაო? — ეს კითხვა პროპაგანდისტს ლოყებს შეუფაკლავდა, აანთებდა, დაუჯერებელ გლეხს ათი წლის წინანდელს გაახსენებდა, დაუხატავდა, შეადარებინებდა მას დღევანდელთან, გადაარწმუნებდა.

* * *

ასე მიდიოდა გზა მაღლა, მერე ერთი წლის შესვენება მოჰყვა. მიზეზი მეტად საპატიო იყო — დედობა.

შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ბავშვთა სამყაროს — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორად. მალე ომი დაიწყო. დადგა მუშაობის ყველაზე მძიმე პერიოდი. მარგო თომაძის მზრუნველმა ხელმა მაინც ბევრი რამ შეცვალა სასახლეში.

ისევ დედობა...

შინ დრო დაძაბულად, მღელვარედ მიდიოდა, — ან რა დაამშვიდებდა სამი შვილის დედას, როცა კავკასიონზე ზარბაზნები ქუხდა.

მუდამ ფხიზელი თვალის მოხუჭვა ვერადავერ შესძლო.

და რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ მარგო თომაძემ ისევ აიღო კალამი კვლავ „ნორჩი ლენინელისათვის", „პიონერისათვის", „დილასათვის", კვლავ ბავშვებისათვის. პატარა მკითხველებს მათი მომამგე საინტერესო პატარა მოთხრობებს სთავაზობს. ასე გაჩნდა სამი წიგნი: „ბეჯითი ნანული", „ვარსკვლავების მხატვარი", „ოქროს ბურბუშელა", ასე გაჩნდა მოთხრობები: „სანდრიკო", „უკანასკნელ ადგილზე", „დედის სტუმარი", „თანაშემწე" ...ასე მოედინება ნოველები ვანო სარაჯიშვილზე და ვინ იცის კიდევ რა! შესართავამდე ჯერ ძლიერ შორია.

* * *

ის მუდამ ადარებს, ადარებს ახალს ძველთან, ადარებს იმ დღესთანაც, როცა პირველად ჩავიდა მოსკოვში საბავშვო წიგნის გამოფენაზე, დაათვალიერა „პრავდის" კომბინატი, გაკვირდა ტექნიკის სიახლით და უნებურად შეადარა კამოს ქუჩაზე ძველ სტამბას! მერე თბილისში ჩამოსული, მთელ კვირას აღტაცებული ჰყვებოდა მოსკოვური საღამოების, ლიტერატურული დისკუსიების შესახებ, ჰყვებოდა თუ როგორ იბეჭდება „კომსომოლსკაია პრავდა", „პიონერსკაია პრავდა".

მაშინ „ნორჩი ლენინელისა" და „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციები ერთად იყო შეკუნჭული ორ პატარა ოთახში, უფრო სწორედ, „ნორჩ ლენინელს" დათმობილი ჰქონდა ერთადერთი მაგიდა!

კიდევ იმ დროსთან ადარებს, როცა პიონერებს ამხელა ქალაქში შესაკრები ადგილი არ ჰქონდათ. „ნორჩმა ლენინელმა" ითავა მაშინ ამ საკითხის დაყენება.

როგორ გამოიცვალა ქალაქები და სოფლები!

როგორ წინ წავიდა ქართველი კაცის ცხოვრება, ქართული სტამბა, ქართული წიგნი, ახალგაზრდობის აღზრდის საქმე, ეს მარტოოდენ მას შეუძლია განიცადოს, ვისაც მათი წარსული უნახავს, ვისაც ახლაც უდევს პირველი ფერადსურათებიანი ქართული წიგნი 1927 წელს გამოსული, „დილის" და „პიონერის" უკანასკნელი ნომრები. ამიტომაც არ შეუძლია არ შეადაროს.

და მაინც ეს ყველაფერი როდია. მას უნდა სხვებმაც, ჩვენმა ახალგაზრდობამ შეადარონ, იცოდნენ, თვალნათლივ ხედავდნენ სწორედ ისე, როგორც ამას მარგო თომაძე ხედავს. ამიტომ ხელი მოჰკიდა ხანგრძლივ და მეტად შრომატევად სამუშაოს — ქართული საბავშვო წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენას, რომ ცხადლივ გამოაჩინოს თვითეული წლის ნაამაგარი, რომელიც თანდათანობით მატულობს, როგორც სათავიდან დაშვებული მდინარე.

ეთერ სახვაძე

# მერი ქარხანაში წავა

მზიანი, ნათელი დღეა. გოგონა ფანჯრის რაფაზე წამოსკუპულა და მინაზე არეკლილ მზის ათინათებს აყოლებს თვალს. ოთახში მამა მუშაობს, ხაზვის კურსის სახელმძღვანელოს ადგენს სტუდენტებისათვის. მისთვის ხელის შეშლა არ შეიძლება — ასე უთხრა გოგონას დედამ. დედასაც თავის საქმე აქვს — ფიზიკას ასწავლის ბავშვებს. მერის მობეზრდა ფანჯარასთან ჯდომა. ცოტაც და ისევ უხოხდება მამას მუხლზე.

— მამიკო, მეც დავხაზავ, — ეხვეწება და კალკითა და რეისფედერით შეიარაღებული გულმოდგინედ ავლებს წრეხაზებს.

ერთხელ მამამ გოგონა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წაიყვანა. პირდაღებული ღუმელები ზღაპრული გველეშაპივით ისროდნენ ცეცხლის უამრავ ნაპერწკლებს. სწრაფად მისრიალებდნენ დიდი წითელი მილები. შემდეგ მათ აცივებდნენ, გადაჰქონდათ და ახლა სხვა მილები მისრიალებდნენ დაუსრულებლად. გაოგნებული დაბრუნდა შინ.

კიროვის ჩარხმშენებელმა ქარხანამ მეტ განცვიფრებაში მოიყვანა... აუ, რამდენი მანქანა, რამდენი ჩარხიაო, — უკვირდა. შემდეგ სულ ქარხანაში წაყვანას ითხოვდა. სახლში ხშირად იკრიბებოდნენ მამის მეგობრები. მსჯელობდნენ, კამათობდნენ ტექნიკის საკითხებზე. მერი კუთხეში იჯდა და გაფაციცებით უგდებდა ყურს.

— შენ რა გაინტერესებს, პატარა? — ეკითხებოდნენ ღიმილით.

— მე მანქანების ინჟინერი უნდა გამოვიდე, — პასუხობდა სერიოზულად.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სკოლაში თავიდანვე შეიყვარა მათემატიკა. ფიზიკის წრემ მექანიკასთან დაახლოვა.

ახლა უკვე აღარ ამბობდა მანქანების ინჟინერი მინდა გავხდეო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტზე ოცნებობდა შესვლას.

— რთული დარგი აირჩიე და არ შემარცხვინო, — არიგებდა მამა, როცა შვილი სტუდენტი გახდა.

პირველი სესიები. ღელვა, სიხარული. „მერის ჰკითხეთ, მერიმ იცის, მერი აგიხსნით!“... — სულ უფრო ხშირად ისმოდა აუდიტორიაში სტუდენტებს შორის. გაზაფხულის სესიებმა მეტი სიხარული მოუტანა. მეორე კურსზე ფრიადოსნად გადავიდა. შემდეგ კი სულ ფრიადები, ფრიადები.

მერი ხალისიანი და დაუზარელია. სტუდენტებს უყვართ და აფასებენ კარგ, გულისხმიერ მეგობარს. აკი ამიტომაც აირჩიეს ფაკულტეტის პროფბიუროს მდივნად. შემდეგ კი პროფკომთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელი გახდა, ეხმარებოდა ამხანაგებს, უხსნიდა, ურჩევდა, ასწავლიდა, თვითონაც სწავლობდა.

პირველმა პრაქტიკამ ბევრი რამ ახალი გააცნო სტუდენტებს. მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში საწარმოო პრაქტიკამ დააახლოვა და დაამეგობრა მუშებთან. ეს მაინც საწარმოო პრაქტიკა იყო, აქ ისინი უშუალოდ არ იღებდნენ მონაწილეობას ქარხნის მუშაობაში.

მეოთხე კურსზე კი ლენინგრადის ინსტრუმენტალურმა ქარხანამ გულღიად მიიღო მომავალი მექანიკოსები. მერი საკონსტრუქტორო ბიუროში აგეგმარებდა სამარჯვებს. ყველა გულისყურითა და სიყვარულით ეპყრობოდა, განსაკუთრებით კი — მე-14 მექანიკური საამქროს ტექნოლოგი ვიქტორ სერგის ძე პოსპელოვი, ყოველთვის დინჯი, აუჩქარებელი, საქმის საუკეთესო მცოდნე და ჩინებული ადამიანი.

„მეც მასავით კარგი ტექნოლოგი უნდა გავხდე“,— ფიქრობდა მერი და ახლოს აკვირდებოდა ვიქტორ სერგის ძეს, სწავლობდა მისგან.

დღისით ქარხნის საინტერესო ცხოვრება იტაცებდა. საღამოობით კი, თეთრ ღამეებში, ნევის ნაპირთან ჩუმად იდგა ბრინჯაოს სფინქსების გვერდით და ლენინგრადზე შეყვარებული ესენინისა და ბლოკის ლექსებს იხსენებდა.

მეოთხე კურსზე მერი ჭელიძეს ორჯონიკიძის სახელობის სტიპენდია დაუნიშნეს. ლექციები სულ უფრო რთული და საინტერესო ხდებოდა. მომავალი მექანიკოსები სპეციალურ საგნებზე გადავიდნენ — ჩარხები, დეტალები, ჩარხები დაუსრულებლად.

სწავლას ბევრი სჭირდება, მაგრამ მაინც რჩება დრო რუსიკოსა და თამილასთან შესახვედრად. ისინი მერის განუყრელი მეგობრები არიან, რამდენი რამ აქვთ საერთო: ლიტერატურის სიყვარული, კამათი ხელოვნებაზე...

საღამოობით სახაზავ მაგიდასთან თავდახრილი გვიან ღამემდე ჩაკირკიტებს ნახაზებს.

დრო კი მირბის შეუმჩნევლად...

მეხუთე კურსიც იწურება, წინ დიპლომების დაცვაა. როგორი გრძნობა აქვს მეხუთეკურსელს?! რაღაცას ელის დიდსა და სასიხარულოს. თან ენანება განვლილი წლები, სტუდენტური შფოთიანი და საინტერესო ცხოვრება, თან ეჩქარება დაიწყოს ახალი, დამოუკიდებელი საქმიანობა. გაუთავებელი ცდები, გამოთვლები, ნახაზები. ბევრი ახალი ვარიანტი, და ასე მუშავდება მერის სადიპლომო თემა — „ნაგლინის გადაჭრა ცხელ მდგომარეობაში ოთხი დისკოთი“,

სახლში ახლა უმცროსი ძმა ჩაკირკიტებს მანქანის ნაწილებს. მასაც უყვარს ფიზიკა. ისიც მექანიკურ ფაკულტეტზე ოცნებობს შესვლას. მერი ხელს უწყობს, ეხმარება.

გაივლის დღეები, დამთავრდება საგამოცდო ციებ-ცხელება, ლამაზი სტუდენტობის ხანა და მერი ქარხანაში წავა.

ის ახლა განცვიფრებული პატარა გოგონა კი არ იქნება, არამედ თეორიული ცოდნით შეიარაღებული სპეციალისტი, რომელიც ბევრ ჩარხსა და დანადგარს მისცემს საგზურს.

**ნანული ჭავჭანიძე**

# დუდუხანა წეროძე



ტუფით მოპირკეთებულ აივნებიან სახლში რა ხანია ჩააქრეს ნათურები. ისვენებს დღის ხმაურით გაბეზრებული ქუჩა. ისვენებენ ადამიანები...

—დუდუხან, არ გძინავს? — ისმის მეუღლის ხმა. დუდუხანს არ ესმის. ის ფიქრშია წასული... ანდა სადღაა დუდუხანი? იგი ხომ მაგდანაა ამ წუთს, ქვრივი მაგდანა.

რა დააძინებს მაგდანას?! უმამოდ დარჩენილ შვილების ბედზე ფიქრობს ქვრივი. დილაადრიან კი მაწვნის ქილებით დატვირთული, ქალაქის გზას უნდა გაუდგეს.

...შეგვიანებული მანქანის ფარი დაჭირხლულ მინებს აბჟუტებს. ნათდებიან ფანჯრები და მინაზე მიხატული ყინულის გვიმრნარი უნებურად აღვიძებს მოგონებებს ბავშვობის უზრუნველ დღეებზე:

გურიის მთაგორიანი სოფელი სამება. სერებზე წამოსკუპებული კოპწია ოდასახლები. ანკარა ღელე... წისქვილი... საქანელა... ბარაქიანი შემოდგომა და სოფლის მთვარე, ყველგან თან რომ დასდევდა და აოცებდა ბავშვებს.

არა, ბავშვობა უკვე აღარ აღელვებს დუდუხანს, ბავშვობა ტკბილი ზღაპარივით წლების მიღმა დარჩა.

ახლა ობლების ბედი აწუხებს დედას. დილაბნელზე ლუკმა-პურის საშოვნელად ქალაქის გზას დაადგება.

აი ქალაქის ოკრო-ბოკრო, დაბრეცილი ქუჩებიც...

იქნება დღეს მუშტარი გამოუჩნდეს და სულ გაიყიდოს ეს ვერანა მაწონი. ორიოდე კაპიკს იშოვის, კატოს წითელი წაღებით გაახარებს...

ჯერ იყო და ეკ. გაბაშვილის მოთხრობამ პატარა დუდუხანს დიდი სევდა და სიხარული მოუტანა, ახლა კი ქვრივის ბედი არგუნა.

ბოლო არ უჩანს ზამთრის გრძელ ღამეს. მაგდანას თვალი ვერ მოუხუჭავს, ბორგავს, ტრიალებს. ლურჯამ ცხოვრების ტვირთი შეუმსუბუქა. ახლა ლურჯას პატრონი გამოსჩენია, წართმევას უპირებენ...

არა! ისე არ დაეცემა მაგდანა, რომ თავისი ობლები ვერ გამოზარდოს. სოფელი შენთან არის, შვილების მოამაგე დედავ!...

1956 წლის სექტემბერში ინგლისურმა ჟურნალმა „კინიმატოგრაფ უიკლიმ“ მსოფლიოს აუწყა, — ფილმმა — „მაგდანას ლურჯა“ — ედინბურგში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო დიპლომი, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესომ.

მაგდანას როლი მსახიობის დასრულებელი ტალანტის გამოვლენა იყო. ინტუიციით შესრულებული პირველი როლიდან მაგდანას რელიეფურ სახემდე დუდუხან წეროძემ კინომსახიობის რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო.

კონსერვატორიის მარმარილოს კიბეზე ჩამავალ პროფესორს სანდომიანი სახის ქალიშვილი აედევნა.

—პატივცემულო...

—რაო, ჩემო დუდუხან, — ღიმილი შეაგება პედაგოგმა წამოწითლებულ სტუდენტს. — შენსას ისევ არ იშლი?

—სწავლას თავს არ დავანებებ...

— არ გირჩევ, ჩემო გოგონი. აბა, დაფიქრდი. კინემატოგრაფია ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ახალი მოვლენაა. მართალია, მომღერალი ერთდროულად მსახიობიც არის, მაგრამ კინომსახიობობა შედარებით რთულია. სულ სხვაა სულიერი განცდების გადმოცემა სცენაზე და სულ სხვაა ეკრანზე. სურვილი ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. კინომსახიობს განსაკუთრებული ნიჭი და მოთმინება უნდა ჰქონდეს თანდაყოლილი.

მეორე დღეს დუდუხანი დედასთან ერთად მაინც წავიდა კინოსტუდიაში. ირგვლივ უჩვეულო და ცოტა საიდუმლოც იყო. წამდაუწუმ იღებოდა და იხურებოდა პავილიონის და საამქროების კარები. ეზოში ათასნაირი ხალხი ირეოდა. შესვენებაზე გამოსული მსახიობები თავიანთი გრიმებითა და ჩაცმულობით უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. დუდუხანის ყურადღება ერთმა წაბლისფერთმიანმა გოგონამ მიიპყრო. ქალიშვილი ხელებს იქნევდა, გამომწვევად ტკეპნიდა ადგილს. ეტყობოდა ვიღაცას აჯავრებდა, გრძელი, მოხატული წარბები და შეღებილი ქუთუთოები მზეზე უელავდა. გარსშემოხვეულები მხიარულად ხარხარებდნენ.

დუდუხანს ეს უჩვეულო გარემო აღიზიანებდა. მერე ძლიერი სურვილი დაეუფლა, ამ უცნობი სამყაროს ნაწილი გამხდარიყო.

ორმა ახალგაზრდამ ხმამაღალი ლაპარაკით ჩაუარა. ლურჯპალტოიანი აღელვებული რაღაცას ამტკიცებდა. დუდუხანმა ყური მოჰკრა მისი თანამოსაუბრის დინჯ პასუხს:

—ბუნებრიობას დიდი მუშაობით აღწევენ. სკოლაა საჭირო, ექსპერიმენტები არ კმარა.

„რაღა მაინცა და მაინც აქ ჩამოიარეს. „ბუნებრიობა“, „სკოლა“, „ექსპერიმენტები“, გამოაჯავრა გუნებაში დუდუხანმა და მოკამათენი მომდურავი თვალით გააცილა.

დედა გრძელ, ახალგარანდულ სკამზე ზის. თავის გოგონას აკვირდება. „ღელავს ჩემი დუდუხანი. მე კი სწორედ ვიქცევი? გაკვალული გზა მიატოვა, აქ კი, ვინ იცის, რა გამოვა. ვნახოთ, მაინც რას იტყვის რეჟისორი!“

მერე რეჟისორიც გამოჩნდა.

—პირველი, რაც ვიგრძენი შიში და საკუთარი თავისადმი უნდობლობა იყო. — ღიმილით იხსენებს მსახიობი. — გარეგნობით მოვეწონე რეჟისორს. ერთი ძველისძველი რომანსი წავიკითხე და ჩემივე თავით უკმაყოფილომ იქ მყოფთ გადავხედე. არაფერი უთქვამთ. პატარა დავალება მომცეს: წარმოიდგინე, საქმრო ციხიდან გამოუშვეს, დედას უნდა ახარო, დედა კი გარდაცვლილიაო, — იფიქრეო და მარტო დამტოვეს. ვერაფერი მოვიფიქრე, მერე შემოვიდნენ, მითხრეს გააკეთეო. მეც გავაკეთე. თვითონაც არ ვიცი რა გავაკეთე.

რეჟისორი არჩევანში არ შემცდარა. დუდუხანს დებიუტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა. თუმცა მაროს როლი მიხ. ჭიაურელის კინოფილმში — „უკანასკნელი მა-

სკარადი“ — წამყვანი არ იყო, ახალბედამ მაინც შესძლო შეექმნა სიცოცხლით სავსე, ხალასი ბუნების მქონე გოგონას სახე.

„მაგრამ, რაც ყველაზე განსაცვიფრებელია,—წერდნენ რეცენზიებში,—ესაა ახალგაზრდა მაროს როლის შემსრულებელი დ. წეროძე, რომელიც თავისი მდიდარი მიმიკით, ზუსტი ჟესტითა და სახის განცდათა მუსიკალური გამით ლილიან გიშს[1] გვაგონებს. წეროძის სახით ჩვენმა კინემატოგრაფიამ უსათუოდ ნამდვილი კინომსახიობი შეიძინა.“

ეს იყო 1934 წელი.

საკუთარ ძალებში დარწმუნებული დუდუხანი უკვე სერიოზულად ფიქრობს კინომსახიობობაზე. 1936 წელს შედის კინოსტუდიასთან არსებულ კინომსახიობთა სტუდიაში. მთელი ყურადღება აქტიორულ დაოსტატებაზეა გადატანილი. კინოხელოვნება ზღაპრულ არსებასავით იზრდება, ყოველ ახალ დღეს მოაქვს რაღაც აქამდე უცნობი, მაგრამ საინტერესო და მიმზიდველი, იხვეწება კინოტექნიკა. წინ წამოიწია მსახიობის მიმიკამ, დიქციამ, პლასტიკამ. ახალგაზრდა ქალი მონდომებით სწავლობს, თვითონ ეძებს ახალ გამომსახველობით საშუალებებს, ბევრს კითხულობს.

ამავე წელს დ. წეროძე მონაწილეობს კინოკომედიაში: „დაკარგული სამოთხე.“ ამჯერად იგი გლეხი გოგონას — პეპელას როლს ასრულებს. მაყურებელმა გულთბილად მიიღო მსახიობის უშუალო და მომხიბლავი თამაში. ამ ფილმში დუდუხანი კომედიური ჟანრის მსახიობის სერიოზულ მონაცემებს ამჟღავნებს.

მერე ღრმა შემოქმედებითი ძიებით დატვირთული წლები წლებს მისდევს. მსახიობი თანდათანობით იმდიდრებს აქტიორულ არსენალს. იგი ერთნაირი მონდომებით მუშაობს ყველა როლზე. ეპიზოდურ როლებსაც არ თაკილობს, გულისხმიერად და სიყვარულით ეკიდება მათ. ამიტომაც არის, რომ დ. წეროძის მიერ გამოკვეთილი ხასიათები დიდხანს ცოცხლობენ მაყურებელთა ხსოვნაში. ნანი ცანავა („კოლხეთის ჩირაღდნები), მარინა („შავ მთებში“), ფოსტალიონი („პირველი მეზობლები“), ქალიშვილი („ჯურღაის ფარი“), თამარი („ჩვენი ეზო“), თამარი („განაჩენი“), მზეხა („მამლუქი“) და სხვა.

მალე ჩვენი კინომაყურებელი დუდუხან წეროძეს იხილავს კინოკომედიაში: „მოტაცება“. იგი ეკრანზე სოფლის მოწინავე მშრომელი ქალის, კესარიას სახეს გააცოცხლებს, რომელიც შვილს სწორი გზის პოვნაში ეხმარება.

დუდუხან წეროძეს უამრავი წერილი მოსდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. იწერებიან უბრალო ადამიანები: მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები. ისინი საყვარელ მსახიობს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ, მისგან ახალ-ახალ გამარჯვებებს მოელიან.

**ზ. ჩხაიძე**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდად განვითარდა ქართული კინოხელოვნება. ჩვენმა კინომატოგრაფიამ გამოუშვა ორასზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქრონიკალურ-დოკუმენტალური ფილმების გამოშვება.







კადრები ქართული კინოფილმებიდან: „სხვისი შვილები“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „ოტელო“, „მაგდანას ლურჯა“, „შეწყვეტილი სიმღერა“.

8576

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში მზრუნველობით და ყურადღებით არიან გარემოსილი პენსიონერები, დედები და ბავშვები. მარტო 1960 წელს სახელმწიფოს მიერ გაცემული პენსიებისა და სხვადასხვა დახმარების საერთო თანხამ 79 მილიონი მანეთი შეადგინა.

ახლა საქართველოში მუშაობს 302 დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, 14.985 საბავშვო ბაგა.



# გაიხარებს დედის გული

დღესასწაულს ყველა ოჯახში მხიარულება და სიხარული შეაქვს. ყველა მოუთმენლად ელის ამ დღეს, მაგრამ სულ სხვაა ოთხმოცი წლის მატრონა გერსამიას მოლოდინი.

— ბაღნები მოვლენ დღეს,—ეტყვის მეზობლებს. თუმცა ყველა დაცოლშვილ-დაქმარშვილებულია, მაინც „ბაღნებია“ მისთვის. ერთი კვირით ადრე დაიწყებს მზადებას. მუხლებში ძალა ემატება, ციბრუტივით ტრიალებს — იცის, შვილებს ყველაზე ძალიან დედის დამზადებული სადილი ესიამოვნებათ, ისიც იცის, რომელ შვილს, რა უყვარს.

და ყოველ წუთში ჩერდება მანქანა ჭიშკართან. მოდიან დედასთან საჩუქრებით. გულში ჩაიკრავს, მიუალერსებს, მერე უსაყვედურებს...

—საჩუქარი რად მინდა, ნანა, ყველაზე დიდი საჩუქარი თქვენი შემოხედვაა ჩემთვის...

ცხრა შვილი, რძლები, სიძეები და თექვსმეტი შვილიშვილი შემოუსხდება მაგიდას. შეჰყურებს მათ მატრონა, ყველას გულში უნდა ჩაიხედოს — უნდა გაიგოს თვითეულის გულისტკივილი თუ სიხარული.

—შენ რაღაც გლახა ფერზე ხარ, ნანა, რამე ხომ არ გტკივა?,— ეკითხება უფროს ვაჟს, სამოცი წლის იასონს, დამჭკნარ ხელებს უსვამს თავზე.

— შენ, გოგო, ნამეტანი გამხდარი მეჩვენები, ოთხმა შვილმა დაგაძაბუნა? აი, შე გლახა. მე რა უნდა მექნა, აბა იმ გაჭირვებულ დროში...

და მწუხარების ჩრდილი გადაეფინება სახეზე, გულში მჯიღს ჩაირტყამს.

— ვაი, შენს დედას, შვილო,—თვალებს ამბროსის შავ ჩარჩოში ჩასმულ სურათს მიაპყრობს და მთელი წარსული გადაეშლება თვალწინ.

თექვსმეტი წლის იყო, როცა მოვიდა მაჭანკალი, მერე—სასიძო... მატრონასათვის არაფერი უკითხავთ, მამამ უბრძანა უნდა გაყვეო. მოვიდნენ მაყრები, მთელ ღამეს იარეს ცხენებით. შუა ცეცხლით და ჭრაქით გაბოლილ ისლით გადახურულ სახლს მიადგნენ, ერთი ხის ტახტი დახვდა მატრონას. მოსე იჯარით ამუშავებდა მიწას. ორი სული ძლივს ირჩენდა თავს და... პირველად იასონი გაჩნდა, მერე შურა, მერე ისაკი, ცურუ, გალაქტიონი, ქსენია, ამბროსი, გრიშა, ლენა და ნადია. დღე და ღამე შრომობდნენ, როგორმე მჭადი მაინც არ მოკლებოდათ ბავშვებს.

უფროსი ბიჭი იასონი 14 წლის იყო, უმცროსი ნადია კი ერთი წლის, როცა მოსე გაცივდა და ანთებამ გადაიტანა. სიკვდილის წინ ატირებულ მატრონას ამშვიდებდა:

— ნუ გეშინია, მატრონა, ხომ ხედავ, ახალი დრო დადგა ჩვენისთანა გაჭირვებულებისათვის. შრომას ფასი დაედო. თუ იშრომებ, ყველგან იცხოვრებ. უსწავლელებს ნუ დატოვებ ბავშვებს...

მატრონას ოცნებაც ეს იყო. ბავშვები სკოლაში მიაბარა, თვითონ კი კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. დედის გულს ამხნევებდა შვილების ჯანმრთელობა. ახალისებდა ისიც, რომ გულისხმიერები იყვნენ ბავშვები ერთმანეთისადმი. ერთს თუ გაუბრაზდებოდა და ატირებდა, ყველა ერთად ატირდებოდა, თუ რომელიმეს საცემრად გასწირავდა, ყველა იმ ერთს გადაეფარებოდა და მატრონა იძულებული იყო ან ყველა გაელახა ან არცერთი.

წამოიზარდნენ და დედას მხარში ამოუდგნენ. საშუალო განათლება ყველამ მიიღო. ხუთი მათგანი პარტიის რიგებში ჩადგა.

ხედავდა დედა, ვაჟკაცდებოდნენ ბიჭები... გოგონებს გარეთ გაურბოდათ თვალი, ხედავდა დედა, უხაროდა, თან სტკიოდა გული: იცოდა—ჩქარა ისინი სხვა ბუდეს აიშენებდნენ და წავიდოდნენ.

მაგრამ მოვიდა ომი და ოთხი ვაჟკაცი ერთ დღეს წავიდა, ნადიაც მიჰყვა ძმების კვალს. დაყრუვდა ოჯახი. მატრონა უაზროდ დაბორიალებდა ოთახიდან ოთახში, წყევლა-კრულვით იხსენიებდა ომის გამჩაღებლებს. მისი შვილები ტყვიის ქვეშ იდგნენ, მას რაღა გააჩერებდა სახლში! დამლაგებლად დაიწყო მუშაობა, ღამე ქუჩაში მორიგეობდა და სხვა ქალებიც გამოჰყავდა.

ქერჩში იბრძოდნენ გალაქტიონი და იასონი, სტალინოში — ამბროსი, მოსკოვს იცავდა გრიგოლი. ნადია კი თავს ევლებოდა დაჭრილებს, ტყვიის ქარცეცხლიდან გამოჰყავდა ისინი...

და, აი, პირველად ნადია დაბრუნდა, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული, მერე იასონი, გალაქტიონი, და გრიგოლი. ვერ დაბრუნდა ამბროსი და დედას სამუდამო იარა დაუტოვა გულში.

ცხოვრებამ თავისი გაიტანა, კალაპოტში ჩადგა. შრომის ფერხულში ჩაებნენ შვილები. ერთი მექანიზატორია, მეორე ექთანი, მესამე აღმრიცხველი... თავიანთი უანგარო შრომით ემსახურებიან ჩვენს საერთო საქმეს. ჭირში თუ ლხინში მხარდამხარ მიჰყვებიან ურთმანეთს. კმაყოფილია მატრონა, კმაყოფილი, მაგრამ ერთ რამეში მაინც ესაყვედურება შვილებს:

—რა არის თითო-ოროლა შვილი! მე, ქვრივმა და უსწავლელმა ქალმა თუ შევძელი ამდენი შვილის აღზრდა. თქვენ რა გემართებათ? თავი თუ არ გეცოდებათ, ბავშვები მაინც შეიცოდეთ. „ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“...

დიდ მზადებაშია მატრონა, შვილებს ელის. განა სხვა დროს არ მოდიან? ცალ-ცალკე ხშირად აკითხავენ, მაგრამ როცა ერთი მოდის, მეორეს დარდი აწუხებს, ერთად კი დღესასწაულებში ნახულობენ დედას.

მაისის დღესასწულია.

სიხარული მოაქვს ამ დღესასწაულს მატრონას ოჯახში.

**ოლია რევია,**

ქ. ცხაკაია.

# ასე იცლება ზურგჩანთა

გუშინდელ დღესავით ახსოვს ნადია ჩიტაიშვილს ჟურნალ-გაზეთებითა და წერილებით დატვირთული მძიმე ჩანთა ზურგზე რომ მოიგდო და კოტე მესხის ქუჩას შეუყვა.

ისიც კარგად ახსოვს, როგორ კითხვა-კითხვით მიდიოდა ყველა ეზოში, ყველა სახლში, ყველა ოჯახის კართან.

მალე შეეჩვია ახალ სამუშაოს, უბნის მცხოვრებლებს. ბავშვები ჟივილ-ხივილით ეგებებოდნენ, დეიდა ნადია, რა მოგვიტანეო — და გარშემო ეხვეოდნენ.

— კარგი ამბები, — ღიმილით პასუხობდა ნადია და ყველა ბავშვს მისი ოჯახის ჟურნალ-გაზეთებს ჩამოურიგებდა. ასე დადიოდა იგი ქუჩიდან ქუჩაზე, ეზოდან ეზოში.

პატარა საქმე როდია ყოველ დილით ზურგჩანთით ატარო ოცდაათზე მეტი კილოგრამი ტვირთი, აირბინო სართულები, შემოიარო ასობით სადარბაზო.

ყველა იცნობდა მას კოტე მესხის, ვეძინისა და თხინვალის ქუჩებზე, ნაბადისა და თხინვალის შესახვევებში. სამაგიეროდ, თვითონაც ყველას ამბავი იცოდა, ყველას ჭირი და ლხინი.

იცოდა თამარ ბახუტოვს შვილი სამხედროში რომ ჰყავდა, რანეტა სათირიშვილს კი —ძმა, და თვალები წერილებზე რჩებოდათ. იცოდა ანიკოს შვილი რომ ინჟინერია და რუსეთში მუშაობს, რომ ყოველთვის ელოდება შვილის წერილს დედა.

გოგო-ბიჭები მას თავიანთ მესაიდუმლედ თვლიდნენ. ყველაფერს გაანდობდნენ—არავის გააგებინო, ჩუმად მომეცი ჩემი წერილიო — ჩაუჩურჩულებდნენ და ისიც ასრულებდა მათ სურვილს.

შემდეგში გოგოლის ქუჩის მცხოვრებლებსაც ეწვია ნადია, ახლა მათ გაეცნო, მუღლო ომში დაეღუპა. ოჯახის ჭაპანი [illegible] კისერს დააწვა. პატარა გიორგი მაშინ ექვსიოდე წლის იყო. ოცდაოთხი წლისაა დღეს მისი შვილი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში დაიწყო მუშაობა. ნადიას შინ ოთხმოცი წლის დედა ჰყავს. მისი მზრუნველი ხელი არც მოხუცს აკლია. ყველაფერს ასწრებს — ოჯახისაც და სამსახურის საქმესაც.

ყველგან, სადაც კი ნადიას უმუშავნია, ქებით იხსენიებენ. ქალაქის კავშირგაბმულობის მეოთხე განყოფილების უფროსი მაშინვე ნადიას დაასახელებს როგორც კი მოწინავე, კარგ დამტარებელს მოიკითხავთ. მეშვიდე განყოფილების უფროსი, ვისთანაც ახლა ნადია მუშაობს, მასზე საქებარ სიტყვებს არ დაიშურებს.

ამჟამად ნადია კვლავ მძიმე ზურგჩანთით ყოველ დილით სახელმწიფო ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, ხელნაწერების ინსტიტუტის, სახელმწიფო მუზეუმის, მასწავლებელთა სახლისა და სხვა დაწესებულებების კიბეებს აითვლის და ჩამოითვლის. ცხელ-ცხელი ამბები! — შესძახებს და უკან ბრუნდება.

— ჩვენს ცნობარს სიცოცხლეო! —მიაგებებენ დამხვდურები და გაზეთს ხელს დასტაცებენ.

ნადიას ზურგჩანთა თანდათან მსუბუქდება, სიმძიმე კლებულობს, მხრები იშლება, თავისუფლდება საქმისაგან ნადიაც და ცარიელი ჩანთით უკან ბრუნდება.

მიდის ნელა, აკვიდრება ქუჩებს, შენობებს. აქ ამ ქუჩამ სახე იცვალა, ძველი ჩამონგრეული სახლების ნაცვლად ახლები აღმართულა, იქ ის ქუჩა გაფართოვდა, მის კუთხეში შეუმჩნევლად გაკეთდა პატარა სკვერი. გუშინ რომ ჩაიარა, დღეს იმ გზით მათთან მიჰქონდა ახალი ამბები.

სარიშვილი, გუგუშვილი, ჩხეიძე, ბახტაძე და კიდევ სხვები შეემატნენ მის ნაცნობებს. ისინი ყოველდღე ნახულობდნენ და მაინც ყოვლდღე მოუთმენლად ელოდნენ მის მოსვლას.

კარგად იცის ნადიამ რაა მოლოდინი — არ მოგასვენებს, გარეთ გამოგიყვანს, თვალსა და სმენას გაგიმახვილებს. ასე ელოდა იგი სამკუთხა წერილს ფრონტიდან. მერე შეწყვიტა ეს მოლოდინი — მეუღლე სამა-

უკან ველარ დაბრუნდა და მიწისქვეშა გასასვლელით გავიდა მეორე მხარეს. რამდენი ახალი გაკეთდა მის თვალწინ, რამდენი კეთდება კიდევ.

უყვარს ნადია ჩიტაიშვილს თავისი საქმე, უკვე რამდენიმე წელია დამტარებლად მუშაობს, მაგრამ ის დღე, ჟურნალ-გაზეთებით დატვირთული მძიმე ჩანთა ზურგზე რომ მოიგდო და აღმართს შეუყვა, მაინც გუშინდელივით ახსოვს.

**ციალა მაჭარაძე,**

რესპუბლიკაში ქართულ, რუსულ, სომხურ, აფხაზურ, [illegible] და აზერბაიჯანულ ენებზე გამოდის 138 გაზეთი, 123 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოშვებულია ოთხნახევარჯერ მეტი წიგნი, ვიდრე ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის გასული სამასი წლის მანძილზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნობი-ნაცნობი

მოგონება

ჩვენს ეზოში ერთი პატარა საკუჭნაო იყო, მთის ძირას მიკრული. მის თავზე კი დიდი სამტრედე წამოსკუპულიყო.

ამ საკუჭნაოს არ ვიყენებდით, რადგან სხვა სათავსოებიც გვქონდა.

იმ წელს, თბილისში საშინლად ცხელოდა და აი, მივაგენი გრილსა და მყუდრო ადგილს. სამფეხა მაგიდა და დამტვრეული სკამები კუთხეში მივალაგე, დავასუფთავე, გავშალე ჭილობი და კარი მოვხურე.

გრილა... მტრედები ღუღუნებენ. დიდხანს ვუსმენ... მათ ღუღუნში მუსიკის ხმა მესმის, რაღაცას ვმღერი, სიმღერა ცეკვაში გადადის (რა თქმა უნდა, გუნებაში ვცეკვავ, რადგან საკუჭნაო ძალიან პატარაა), ხან მონოლოგებს ვკითხულობ, ხან დიალოგებს ვიგონებ ნახული პიესებიდან და უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ.

როდესაც გარეთ გამოვედი, უკვე საღამო იყო, დეიდამ წყრომით მითხრა:

— სად ბრძანდებოდი, ქალბატონო? სადილი მაინც არ გინდოდა?

— არა, დეიდა, გმადლობთ, — დარცხვენით მივუგე. დეიდამ გაიგო, რომ საკუთარი „ბუდუარი“ მოვიწყე. სადილის შემდეგ მეორე თავათ შემწვარი მტრედები გვქონდა (წარმოგიდგენიათ, ჩემი საყვარელი მტრედები), აბა, იმათ რა მაჭმევდა! დეიდამ ტუჩაწევით მითხრა:

— რა გასაკვირია, მამიდან გლეხის სისხლი მოგდგამს, არისტოკრატიული საჭმელები რა შენი საქმეა. საკუჭნაოში კი მამაშენივით არტისტობას გაითამაშებდი.

და მედიდურად გამეცალა.

გაგაცნობთ ჩემს დეიდას:

14 წლის, შესანიშნავი სილამაზის გოგონა, დიდ მოხელეს, ვინმე კურბატოვს შეურთავს და გასაგებია, რატომ მოსწონდა არისტოკრატები და დასცინოდა მსახიობს.

ნიკოლოზ მეორე, მისი რწმენით წამებული იესო ქრისტე იყო, ხოლო დიდი მოხელენი მისი მოწაფენი.

მენშევიკები საშინლად სძულდა, ყაჩაღებსა და მტაცებლებს ეძახდა, ხოლო ბოლშევიკები, რომელნიც თვალით არ ენახა, ჯოჯოხეთის მოციქულებად მიაჩნდა.

— თურმე ძაბრის ქუდები ახურავთ, ძაბრი ხომ ეშმაკის საყვირია! საწყალი რუსები, რა დღეში იქნებიან! — სწუხდა მოხუცი, რადგან მას სულით და გულით უყვარდა ისინი — მისი მეუღლე ხომ რუსი იყო.

მის „მსოფლმხედველობას“ დაემატა ნათესავის ცოლის, გერმანელი ქალის ღვარძლიანი ლაპარაკი ბოლშევიკების მიმართ. დაიბნა საწყალი დეიდა. იცოდა, რომ ბოლშევიკები რუსები იყვნენ, მისი შვილების სისხლი და ხორცი და გულში ძალიან სწყინდა გერმანელის ლაპარაკი. არჩია „პოლიტიკაზე“, ესე იგი ბოლშევიკებზე, ხმა აღარ ამოეღო.

— ვნახოთ, რა იქნება, რუსები არიან, ღმერთი მოწყალეაო.

მამის ნათესავების სულიერი სამყარო კი სულ სხვა იყო. ისინი ციხეში იყვნენ გამომწყვდეულნი, როგორც თვალსაჩინო რევოლუციონერები.

დედა ხშირად გვიამბობდა, 1905 წელს, თუ როგორ ავრცელებდნენ ძმები პეტრე და ლევან ალნიაშვილები არალეგალურ ლიტერატურას და პროკლამაციებს. მათ უზარმაზარი ფეხსაცმელები ეცვათ და შიგ პროკლამაციები ელაგათ. მთელი დღე დარბოდნენ და უამრავ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ ჭაბუკები.

— ერთხელ მათ ნიკოლოზ მეორის თვალებდათხრილი სურათი მოიტანეს და უადგილო ადგილას თავდაყირა ჩამოჰკიდესო, — სიცილით იგონებდა დედა. აი, ასეთ გარემოში ვცხოვრობდი.

ყველაფერს ვისმენდი, ვუკვირდებოდი, ვფიქრობდი და მაინც ვერაფერში ვერკვეოდი. ზოგი მეფეს ნატრობდა, ზოგი მას რისხავდა. ზოგს მენშევიკები მოსწონდა, ზოგი წყევლა-კრულვით იხსენიებდა. ზოგი ბოლშევიკებს აქებდა, ზოგი აძაგებდა. ძნელი იყო ბავშვისათვის გარკვევა ამ ქაოსში.

ერთხელ სამი მოწაფე სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდით. ვიღაც ახალგაზრდა ქალმა შეგვაჩერა და გვთხოვა მამადავითზე ავყოლოდით — სუფთა ჰაერზე. ჩვენ შევყოყმანდით, მაგრამ უარის თქმა ვერ გავბედეთ. გამოგვკითხა ვინაობა, შეგვაქო კარგი სწავლისათვის.

აი, გრიბოედოვის საფლავთან შევჩერდით, შემდეგ ილიას საფლავთან. მან სრულიად ახლებურად დაგვანახა მათი ვერაგული მკვლელობის მიზეზი, და განა მარტო ეს? რამდენი რამ გვიამბო... ჩვენ აღტაცებით ვუსმენდით მას და შევთანხმდით, რომ შემდეგში ამავე ადგილას შევხვდებოდით. დადგა მორიგი შეხვედრის დღე, მაგრამ ჩვენი „უცნობი-ნაცნობი“, როგორც მას შევარქვით, არ მოვიდა. ბოლოს, წასვლა რომ დავაპირეთ, ისიც გამოჩნდა. ჩვენ სიხარულით მივეგებეთ, როგორც კარგ ნაცნობს. მისი ვინაობა არ ვიცოდით და ვერც გავუბედეთ კითხვა, რადგან ის ჩვენზე ბევრად უფროსი იყო. და აი, დაიწყო...

ჩვენ სულგანაბული ვუსმენდით, მისი გულში ჩამწვდომი და დამაჯერებელი ხმა ბევრ მსახიობს შემშურდებოდა. ჩვენთვის სრულიად ახალი და უცნობი ამბები მოვისმინეთ, რაზეც ოდნავი წარმოდგენაც კი არ გვქონდა. ისეთ გულუბრყვილო შეკითხვებს ვაძლევდით, რომ ახლა პატარა ბავშვმაც კი იცის, მაგრამ ჩვენ არ გვრცხვენოდა ჩვენი უმეცრებისა, ისე მოგვაჯადოვა მისმა კეთილმა და სანდომიანმა სახემ. ამ გულწრფელმა და უშუალო საუბარმა ჩემში ნათესი თესლი გააღვივა, რომელიც შემდეგ ღრმა რწმენად გადაიქცა. მან გვირჩია ჩვენც გვესაუბრა სანდო ამხანაგებთან. სამწუხაროდ, „უცნობი-ნაცნობი“ დღემდე გამოუცნობი დარჩა, მე ის აღარ შემხვედრია.

წითლები!.. წითლები...

ღრმად ჩაჯდა გონებაში, და აი ჩვენმა პატარა ჯგუფმა, წინსაფრების ბოლოს, ქვედა მხრიდან პაწია წითელი ბაფთები მივიკერეთ.

აცივდა, ჩემს საკუჭნაოს დიდი ხანია თავი მივანებე.

გათენდა 1921 წლის 25 თებერვალი.

დეიდა ადრე ამდგარიყო. სად გაქრა მისი მედიდური გამომეტყველება? მოხუცი გაფითრებული სახით რაღაცას ალაგებდა, ინახავდა, კარადის უჯრებს კეტავდა, თან პირჯვარს იწერდა. მე წასვლა დავაპირე, დეიდამ ხელი მტაცა.

— სად მიდიხარ, მოიცა, შვილო, ერთხელ მაინც დამიჯერე. ახალგაზრდა გოგო ხარ, რა ვიცი რას არ ლაპარაკობენ: ყველაფერს წაიღებენო, ქალიშვილებს კარგი დღე არ მოელითო. ფრთხილად იყავი, თორემ მამაშენს ვინ გადაურჩება.

ამ ლაპარაკით საკუჭნაომდის მიმიყვანა, გააღო კარი, მკრა ხელი და გარედან სწრაფად გადამირაზა.

— გამიღეთ კარი, დეიდა, — ვემუდარები — აქ ცივა, ავად გავხდები, — ვაცოდებ თავს, მაგრამ ამაოდ.

დეიდამ თავს უშველა, წავიდა.

ბევრი ვეძებე დამტვრეულ ავეჯში, მაგრამ ვერაფერი მოვარგე კარს გასაღებად. ბოლოს დიდი, ჟანგიანი ლურსმანი შევნიშნე, ავკარი რაზას და... კარი გაიღო. შურდულივით დავეშვი მოსკოვის ქუჩაზე! ყველა გოლოვინის პროსპექტისაკენ მიიჩქაროდა. მეც გამალებული მივრბოდი. უცბად შევჩერდი, ადგილიდან ვერ დავიძარი, ფარაჯაში გამოწყობილი ძაბრისქუდიანი ჯარისკაცი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ჩემკენ. მომიახლოვდა და შეჩერდა. არ ვიცი, რა ამოიკითხა მან ჩემს სახეზე, მე კი გაშტერებული მივჩერებოდი მის ძაბრიან ქუდს.

—რაო, ქალიშვილო, შეგეშინდა? — მომმართა მან და ლურჯი თვალები შემომანათა. არა, ეს შიში არ იყო, ეს იყო სულ სხვა რამ...

ეს ხომ ერთი მათგანია, ვიზეც გვესაუბრებოდა ჩვენი „უცნობი-ნაცნობი“. ეს ხომ პირველი კომუნარია, რომელიც მე ვნახე!

— ნუ გეშინია! — მეუბნება ჭაბუკი და კეთილი ღიმილით მიცქერის.

— მე არ მეშინია! — თამამად ვუპასუხე, სწრაფად გადავიწიე პალტო და წინსაფარზე მიკერებული წითელი ბაფთი შევაგებე.

— ყოჩაღ, გოგონა! — მხიარულად შესძახა კომუნარმა და მაგრად ჩამომართვა ხელი.

მის თეთრ კბილებს ღიმილი არ სცილდებოდა!

მისი ლურჯი თვალები სხივებს აფრქვევდა!..

ელენე სიხილა,

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

# საშიში ბილიკებით

გაზაფხულია. ბარში ვარდები ყვავიან. მთაში, მაღალი მთების წვერებსა და კალთებზე აქა-იქ ჯერ კიდევ თოვლია.

მაშინაც მთები თეთრი იყო, თეთრი, ციცაბო ბილიკებით...

სამი ვაჟკაცი — ხევსური ესტუმრა ღამით ქეთევანს: სოფელში რჩეული ბალღი გვეღუპება და სასწრაფოდ უნდა წამოხვიდეთო.

ქეთევანი ადრე არასდროს ყოფილა ხევსურეთში. გაუგონია, მაღალ მთებზე საშიში გზებია, განსაკუთრებით ცუდ ამინდშია ძნელი იქ გავლაო.

ორ ცხენზე სამი მამაკაცი მოთავსდა, ერთზე — ქეთევანი. ცხენოსნები წინ გაუძღვნენ. პატარა მაღლობი გაიარეს, თვალწინ სარკესავით მოპრიალებული ყინულის „ზღვა“ გადაიშალა. შეეშინდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ყინულს გასცდნენ და წინ თოვლიანი მთა აღიმართა.

— ამ მთაზე უნდა გავიდეთ. ცხენებით ვერ ვივლით, ჩაეფლობიან და ქოშინს ატეხენ, ხმაურზე ზვავი დაიძრება და დავიღუპებით, — თქვა ერთ-ერთმა მეგზურმა და ცხენიდან ჩამოხტა. ყველანი ჩამოვიდნენ, ერთმანეთის დახმარებით სულ მაღლა-მაღლა მიიწევდნენ. ზევით უზარმაზარი თეთრი მთები იყო, ქვევით საშინელ ღრმა ხევს დაეღო ხახა. აღმართი დამთავრდა, დაღმართი დაიწყო... ინათა... გათენდა და გათავდა მტანჯველი მგზავრობა, სოფელი ჯუთა გამოჩნდა. ზღაპრული სანახავი იყო მთის კალთებზე შეფენილი, თოვლსა და ბუხრებიდან ამონადენ კვამლში გახვეული ხევსურების სოფელი. აჩქარებული ნაბიჯებით ორსართულიანი სახლისკენ გაემართნენ. ეზოში ახოვანი ვაჟკაცი — აკია არაბული გამოეგება და მომაკვდავი შვილისკენ გაუძღვა.

ავადმყოფი ქვედა სართულის უკანა კუთხეში იწვა. ოთახი ხალხით იყო სავსე. ქეთევანმა იგი სასწრაფოდ ზედა სართულში, სუფთა საწოლზე გადააყვანინა. გასინჯა და ფილტვების ორმხრივი კრუპოზული ანთება აღმოაჩინა. ცდის დრო არ იყო, წაღებული მედიკამენტები მოიშველია და საქმეს შეუდგა. გულის მოქმედებისა და სისხლის მიმოქცევის მოსაწესრიგებლად ნემსები იყო საჭირო. ხევსურები საშინელი წინააღმდეგი წავიდნენ: ბალღი მკვდარია და რაისთვისღა უნდა დააჩხვლეტინოთო, — ეუბნებოდნენ მშობლებს. ქეთევანს ბრაზი აღრჩობდა. ისინი არ ცხრებოდნენ, მზად იყვნენ წამლები ხელიდან გამოეგლიჯათ, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მოხუცი ბეწინა უწევდა...

მოსვენებასა და ძილზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მშობლები შემოსტიროდნენ ექიმს. მათი გადმოცემით ავადმყოფობის მეექვსე დღე იყო. ქეთევანს ეშინოდა, რომ ორგანიზმი კრიზისს ვერ გადაიტანდა. ნატრობდა „სულფიდინის“ თუნდაც ერთ გრამს.

— თუ წამლებს ჩქარა მომაშველებთ, გადავარჩენ, — ამბობდა იგი.

— გამოსწერე! — თქვა თვალცრემლიანმა ავადმყოფის მამამ. ქეთევანს წერა არ დაემთავრებინა, რომ აივანთან ცხენის ხვიხვინი გაისმა. მთვარის შუქზე გიორგი არაბული იცნო. მხრებზე შავი ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და ხელში სადავე ეჭირა, მხედარმა რეცეპტი გამოართვა და გაქრა... როგორ მოასწრებს იმ მთების გადავლას, უკან დაბრუნებას, — ფიქრობდა ექიმი და წუთებს ითვლიდა სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფის სასთუმალთან. ამ თვლაში მოუსწრო წამლებმა.

დღესაც გაუგებარია მისთვის, როგორ აცოცხლა ბავშვი დილამდის, მზის ამოსვლასთან ერთად ავადმყოფმა მოიხედა. ახლა კი გადარჩა... როგორ ღელავდა სიხარულისგან ქეთევანი, როგორი ძლიერი და ამაყი იყო მაშინ.

• • •

ქეთევან ფიცხელაურმა იცის ეს გზები, კარგად იცის. იგი ყაზბეგელია. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე სამუშაოდ მშობლიურ ყაზბეგს მიაშურა. მაღალმთიანი, შორეული რაიონი სამედიცინო კადრის ნაკლებობას განიცდიდა. მძიმე იყო მუშაობის დასაწყისი: საექიმო უბანი მოუწყობელი დახვდა, ადრე დაზამთრდა — დიდი თოვლი დადო. ავადმყოფებთან ღამეც უხდებოდა სიარული, თოვლიანი გზების გაკვლევა. ხანგრძლივ ზამთარს წვიმიანი გაზაფხული მოჰყვა... ყაზბეგის რაიონს და კერძოდ, თრუსოს ხეობას (ოსური ზონა) „წითელას“ ეპიდემია მოედო. ნიაღვრებისაგან დაზიანებული გზებით ავადმყოფი ბავშვების ჰოსპიტალიზაცია ვერ მოხერხდა, ამიტომ თრუსოს ხეობაში ქეთევან ფიცხელაურის ხელმძღვანელობით ბრიგადა გაიგზავნა.

გადაიარა პირველმა სიძნელეებმა, ეპიდემია ჩაქრა. გავიდა წლები... მერე ომი დაიწყო... მტერი დარიალისკენ გამოჭრას ლამობდა. ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა მიყრუებულ სოფლებს შეეხიზნა.

ამ დროს ქეთევანს მრავალ ადგილას უხდებოდა მუშაობა: იყო სამხედრო საექიმო კომისიის წევრი, ზურგის ლაზარეთის მთავარი თერაპევტი, სოფელ კარკუჩაში გახსნილი საექიმო უბნის გამგე. ზოგჯერ კი მეზობელ ხევსურეთშიც გადაჰყავდათ ავადმყოფის საშველად.



• • •

პალატაში ჩვეული ხალისითა და მომღიმარი სახით შემოდის რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს მთავარი თერაპევტი ქეთევან ფიცხელაური. ერთ-ერთის სასთუმალს უახლოვდება, გულდასმით სინჯავს, ყველა წვრილმანს ეკითხება, რჩევა-დარიგებას აძლევს, საჭირო მკურნალობას უნიშნავს, მერე მეორესთან ინაცვლებს...

ქეთევანი რაიონული საბჭოს დეპუტატია, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სახალხო მსაჯული...

...დღე თუ ღამე, წვიმასა თუ თოვლში, როცა ეძახიან, ხან ცხენით, ხან ფეხით მიყვება ქეთევანი მაღალმთიანი მხარის საშიშ ბილიკებს.

ირმა ჩოფიკაშვილი

# ჩვენი საოჯახო კუთხე

# განათება და ფარდები

ამას წინათ ჩვენ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორი ავეჯი უნდა შევიძინოთ ჩვენი ბინისთვის. მაგრამ მარტო ავეჯის შერჩევა საკმარისი როდია ბინის მყუდროდ და ლამაზად მოწყობისათვის. ასევე გემოვნებით უნდა შეირჩეს დანარჩენი საოჯახო საგნები და მორთულობაც: ჭაღი, ფარდები, ხალიჩა, სურათები, ყვავილები და სხვა.

ჭაღის (ლუსტრა) დაკიდება შეიძლება მხოლოდ მაღალჭერიან ბინაში. წარმოიდგინეთ, რა ზედმეტი იქნებოდა თანამედროვე საცხოვრებელ ბინაში, რომლის სიმაღლე სამ მეტრსაც არ აღწევს, ვეებერთელა ბროლის ან მოოქროვილი ჭაღი. გარდა ამისა, თუ ბინაში თანამედროვე ავეჯი აწყვია — ფორმით სადა და უბრალო — აშკარა შეუსაბამობა იქნებოდა მასა და ძვირფასად მორთულ-მოკაზმულ ჭაღს შორის.



ნახ. 1.

მოდიდან გადავიდა დიდი აბაჟურებიც, რომლებსაც სასადილო მაგიდის თავზე ჰკიდებდნენ. ეს აბაჟურები, თავისი არშიებით, ფოჩებით და ნაკეცებით, პირდაპირ მტვერსასრუტის მოვალეობას ასრულებდნენ და ამდენად მათი დაკიდება არაჰიგიენურია. გარდა ამისა, თანამედროვე საცხოვრებელ ბინებში სასადილო მაგიდას ოთახის შუაგულში კი არ დგამენ (ასე მეტ ადგილს იკავებს), არამედ კედელთან. ამ შემთხვევაში მას კარგად გაანათებს კედელზე მიმაგრებული ბ რ ა. გარდა ამისა, კედელთან მდგომ მაგიდის გასანათებლად შეიძლება ჭერიდანაც ჩამოუშვათ ნათურა ცელულოიდის ან სპეციალური ქაღალდისაგან გაკეთებული სადა აბაჟურით.

მაღალჭერიან, დიდ ოთახში ლუსტრას ან პლაფონს ჭერის შუა ადგილზე ამაგრებენ. პატარა, დაბალჭერიან ოთახებში კი ამის გაკეთება არაა მიზანშეწონილი — ეს კიდევ უფრო დაადაბლებს და დააპატარავებს ოთახს.

საერთო ოთახში, გარდა ჭერის განათებისა, საწერ მაგიდასთან, სავარძელთან, სამუშაო მაგიდასთან და საერთოდ იქ, სადაც მუშაობენ და კითხულობენ, საჭიროა დამატებითი ნათურები.

დივანთან და სავარძელთან შეიძლება დაიდგას მაღალფეხიანი ნათურა — ტორშერი (ნახ. № 1), ეს განსაკუთრებულ სიმყუდროვეს შექმნის ოთახის ამ კუთხეში.

თანამედროვე ნათურები უნდა იყოს უბრალო, მოხდენილი ფორმისა და ჰიგიენური. რაც შეეხება მათ ფერს, უმჯობესია ნათურები იყოს თეთრი ან ღია ყვითელი ფერისა. ეს მხედველობისთვისაც სასიამოვნო იქნება და არც ფერს შეუცვლის სხვა საგნებს. მაგალითად, ინტენსიური ყვითელი ფერი ლურჯად შეღებილ კედელს ამწვანებს, ვარდისფერს ნარინჯისფერს აძლევს. წითელი ან მკვეთრი ნარინჯისფერი აბაჟური ძალიან ღლის მხედველობას, ხოლო ცისფერი, ლურჯი ან მწვანე ამუქებს ოთახს, ადამიანთა სახეებს კი მკვდრისფერი ედება.

კარებზე და ფანჯრებზე ფარდები და პორტიერები მარტო სილამაზისთვის როდი იკიდება! პორტიერები იცავს ოთახს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებებისაგან და არბილებს მკვეთრ სინათლეს.

თუ ოთახის კედლები სადაა, ყოველგვარი მოხატულობის გარეშე, ფარდები და პორტიერები შეიძლება ჭრელი, ფართონახატიანი ქსოვილისაგან შეიკეროს. თუ ოთახის კედლები მოხატულია ან ჭრელი შპალერი აქვს აკრული, მაშინ ფარდები ან ძალიან წვრილი მოჩითული უნდა იყოს ან სრულიად სადა.



ნახ. 2.

როცა სარკმელზე ორნაირი ფარდაა ჩამოკიდებული — მარმაშისა და დეკორატიული ქსოვილის, მაშინ ერთ-ერთი მათგანი სადა უნდა იყოს, ყოველგვარი მოხატულობის გარეშე.



ნახ. 3.

ფართონახატიანი ქსოვილის ფარდები მხოლოდ დიდ ოთახს მოუხდება. პატარა ოთახში ჯობს წვრილად მოჩითული ქსოვილის ფარდები დაიკიდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: პრიალა აბრეშუმის ფარდები და პორტიერები მხოლოდ ძვირფასად მორთულ ოთახს მოუხდება. სადად მოწყობილ ოთახში კი ის ზედმეტად პრეტენზიული გამოჩნდება.

თხელი ქსოვილის ფარდებს ფანჯრის რაფამდე ჰკიდებენ, ხოლო სწორ, ვიწრო პორტიერებსა და მძიმე ფარდებს — იატაკამდე.

ვიწრო, სქელი ფარდები ოთახს მკაცრ იერს ანიჭებს (ნახ. № 2), თხელი ქსოვილისა — ჰაეროვნებას და სიმსუბუქეს (ნახ. № 3), ხოლო უჯრედებიანი ან წვრილი ყვავილებიანი ჩითის ფარდები — სიკეკლუცეს და სისუფთავეს.

ნუ მორთავთ ფარდებს, პორტიერებს, სხვადსხვა გადასაფარებლებსა და ავეჯის შალითას (ჩიხოლი) არშიებით, ბაფთებითა და მარმაშით. ახლა ეს აღარაა მოდაში.

# ვიტამინები

ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ვიტამინებს. ამ წერილის მიზანია გააცნოს მკითხველებს ზოგიერთი ვიტამინის დანიშნულება და მისი მიღების საშუალებები.

ვიტამინ „ა“-ს ნაკლებობა ადამიანის საკვებში იწვევს ზრდის შეჩერებას, მხედველობის დაქვეითებას (რაც ცნობილია ქათმის სიბრმავის სახელწოდებით), ორგანიზმის დასუსტებას, მისი ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას დაავადების გამომწვევი აგენტების მიმართ.

ვიტამინ „ა“-ს დიდი რაოდენობით შეიცავს თევზის ქონი, კარაქი და კვერცხის გული. მცენარეულ პროდუქტებში იგი კაროტინოიდების სახით არსებობს და ორგანიზმში ვიტამინ „ა“-დ გარდაიქმნება მხოლოდ საკვებთან ერთად მიღების შემდეგ. მცენარეულ საკვებ პროდუქტებიდან კაროტინით მდიდარია ისპანახი, სტაფილო, კომბოსტო, ჯინჭარი, პამიდორი, ოხრახუში, მწვანე ხახვი, გოგრა; ხილიდან — ყვითელი ატამი, ჭერამი, მოცვი, მაყვალი და სხვა.

ადამიანის ორგანიზმი ერთი დღე-ღამის განმავლობაში საჭიროებს 3-5 მილიგრამ ვიტამინ „ა“-ს. მოზრდილი ჯანმრთელი ადამიანის დღე-ღამის მოთხოვნილება ვიტამინ „ა“-ზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ზოგიერთი საკვები პროდუქტის შემდეგი რაოდენობით (გრამებში): ოხრახუში — 20, ისპანახი — 20, მწვანე სალათი — 30, მწვანე კომბოსტო — 60, მწვანე წიწაკა — 60, სტაფილო — 60, პამიდორი — 250, სიმინდი ყვითელი — 1.200, რძე მოუხდელი — 1/2 ლიტრი, კარაქი — 30, კვერცხის გული — 25, თევზის ქონი — 10.

ვიტამინ „დ“-ს ნაკლებობა საკვებში წარმოადგენს ბავშვთა ასაკის იმ დაავადების მიზეზს, რომელსაც რაქიტი — ძვალრბილობა ეწოდება. რაქიტისათვის დამახასიათებელია ორგანიზმის მინერალური ცვლის დარღვევა, რის გამოც მცირდება კალციუმის და ფოსფორის მარილები და ძვლები რბილდება. რაქიტიანი ბავშვი ადვილად ოფლიანდება და ხშირად აქვს ნაწლავების აშლილობა.

ვიტამინ „დ-“ს ნაკლებობა საკვებში გავლენას ახდენს არამარტო ბავშვებზე, არამედ მოზრდილებზეც, განსაკუთრებით ორსულ ქალთა ორგანიზმზე (თუ როგორ უნდა დავიცვათ ბავშვი ძვალრბილობისაგან, ამაზე საუბარი იყო ჟურნალის წინა ნომერში).

ვიტამინ „დ“-ს მიღების ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს თევზის ქონი. დანარჩენი საკვები პროდუქტები შედარებით ღარიბია ვიტამინ „დ“-თი; რძე განსაკუთრებით საჭირო პროდუქტს წარმოადგენს ძვალრბილობის დროს, რადგან ის ვიტამინ „დ“-ს გარდა შეიცავს აგრეთვე კალციუმის და ფოსფორის მარილებს იმ შეფარდებით, რაც ორგანიზმს ჭირდება.

ვიტამინ „ბ$_1$“-ს უკმარისობა იწვევს უმადობას, გულის რევას, კუჭ-ნაწლავის აშლილობას, ადვილად დაღლას, ნერვული სისტემის აგზნებულებას, აჩქარებულ გულისცემას. ყველა ეს მოვლენები მალე გაქრება, თუ ავადმყოფი საჭირო რაოდენობით მიიღებს ვიტამინ „ბ$_1$“-ს.

ვიტამინი „ბ$_1$“ საჭიროა ორგანიზმმა მიიღოს ყოველდღიურად — 1-2 მილიგრამი. მას ყველაზე დიდ რაოდენობით შეიცავს ლუდი და პურის საფუარი. აგრეთვე ხორბლის, ქერის, სიმინდის, ბრინჯის, მუხუდოს, ლობიოს, ჭვავის მარცვლის ჩანასახი და ქერქი. სიმინდის ღერღილის ღომში ვიტამინი „ბ“ უფრო მეტია, ვიდრე გაცრილ ფქვილისაში.

ვიტამინი „ბ$_2$“ — ხელს უწყობს ორგანიზმის ნორმალურ განვითარებას და კვებას. მისი ნაკლებობა კი იწვევს თვალების წვას (თითქოს საპნის ქაფი მოგხვედრიათ) და კანის დაავადებას, რაც გამოიხატება ტუჩების გაწითლებაში და მის კუთხეებში ნაპრალებისა და მუწუკების გაჩენაში. ეს მოვლენები რომ არ განვითარდეს, ორგანიზმმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს 2 მილიგრამი ვიტამინი „ბ$_2$“. ვიტამინ „ბ$_2$“-ს ამ რაოდენობას მოგვცემს შემდეგი პროდუქტები: საფუარი — 30 გრ, ღვიძლი — 60 გრ, ისპანახი მშრალი — 200 გრ, რძე — 1,5 ლიტრი.

ვიტამინ „ც“-ს ნაკლებობა იწვევს დაავადებას, რომელიც ხალხში ცნობილია სურავანდის ანუ ცინგას სახელწოდებით. სურავანდი ხასიათდება საერთო სისუსტით, ფეხების, განსაკუთრებით, კოჭებისა და წვივების ტკივილით. ამ დაავადების დროს ადგილი აქვს კანის სიმშრალესა და აქერცვლას. მაგრამ ეს ნიშნები მხოლოდ დაავადების დასაწყისის მაჩვენებელია, შემდეგში კი შეიძლება განვითარდეს სისხლნაკლებობა, სისხლჩაქცევები კანზე და კუნთებში, ღრძილებიდან სისხლის დენა, კბილების მორყევა და დაცვენა.

მკაფიოდ გამოხატული ეს დაავადება ჩვენს ქვეყანაში ამჟამად აღარაა, მაგრამ ზოგჯერ ის ფარული ფორმით მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში აღინიშნება საერთო სისუსტე, დაღლილობა. ორგანიზმი მოდუნებულია და ადვილად ავადდება ინფექციური სნეულებებით. რომ ეს მოვლენები არ განვითარდეს, ადამიანი ყოველდღიურად უნდა ღებულობდეს 50 მილიგრამ ვიტამინ „ც“-ს, მეძუძური და ორსული ქალები კიდევ უფრო მეტს — 75-80 მილიგრამს.

ვიტამინი „ც“ დიდი რაოდენობით არის ლიმონში, ფორთოხალში, კომბოსტოში, პამიდორში, წიწაკაში, მაგრამ განსაკუთრებით მდიდარია ვიტამინ „ც“-თი ასკილი, რომლისგანაც ამზადებენ ნაყენს და სვამენ, როგორც ჩაის.

საერთოდ, ბოსტნეული საკმაო რაოდენობით შეიცავს ვიტამინ „ც“-ს, მაგრამ სასურველია ის ნედლად იყოს მიღებული, რადგან მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით ვიტამინი „ც“ ადვილად იშლება და თუ ბოსტნეულს ჰაერი ხვდება, იჟანგება კიდეც. ასე რომ, თუ ბოსტნეულის მოხარშვა აუცილებელია, მაშინ ის თავდახურულ ჭურჭელში უნდა მოიხარშოს.

ვიტამინ „ც“-ს დიდი რაოდენობით შეიცავს დაწნილებული ბოსტნეულიც. 200-300 გრ კომბოსტოს წნილი სრულიად აკმაყოფილებს ვიტამინ „ც“-ს სადღეღამისო მოთხოვნილებას.

ამიტომ მთიანი რაიონის მოსახლეობას, რომელიც ზამთრის პერიოდში მოკლებულია ნედლ ბოსტნეულს, შეუძლია დაწნილებული ბოსტნეულის სახით მიიღოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთიერება — ვიტამინი „ც“.

ნინო დაშნიანი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# შინაური ფრინველი

შინაური ფრინველის (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი) ხორცი ნაზია, წვნიანი, ნოყიერი და ადამიანის ორგანიზმი მას ადვილად ითვისებს. ამავე დროს მას მაღალი კვებითი ღირებულება აქვს, რადგან დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას, ექსტრაქტულ და მინერალურ ნივთიერებებს და საკმაო რაოდენობით — ცხიმს.

ფრინველის ხორცის თვისებებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ასაკს. ასაკის მომატებასთან ერთად ის ხდება მკვრივი, უხეში და ნაკლებ ნოყიერი.

ფრინველი (მაგალითად, ქათმები) ასაკის მიხედვით, სამ კატეგორიად იყოფა: 1. წიწილები (6 თვემდე), 2. ახალგაზრდა ფრინველი — დედლები და მამლები (6-12 თვისა), 3. ძველი ფრინველი (12 თვის ასაკს ზევით).

წიწილები თავის მხრივ განირჩევიან: მკენკავები 5-6 კვირისა, ვარიები და ყვინჩილები 4-5-6 თვისა. ვარიას უწოდებენ ქათამს კვერცხის დების დაწყებამდე. ყვინჩილას — ფეხზე სადეზის საწყისის გამაგრებამდე.

შინაური ფრინველის ასაკი შეიძლება თვალითაც გამოვიცნოთ. მაგალითად, კანის ფერით და ფეხების მდგომარეობით. ახალგაზრდა ფრინველს თეთრი, ნაზი კანი აქვს, რომელზეც მკაფიოდ (განსაკუთრებით ფრთების ქვეშ) მოჩანს ძარღვები, მისი ფეხები დაფარულია წვრილი ქერცლით. ბებერ ფრინველს აქვს უხეში კანი, ფეხები — დაფარული უხეში მსხვილი ქერცლით. ასეთ ფრინველს ფეხის ქვედა ნაწილზე აქვს მაგარი ჩაკირული წანაზარდები.

მამლის ასაკის გამოცნობა შეიძლება დეზის სიდიდის მიხედვით. ახალგაზრდა მამალს( ექვსი თვის ასაკამდე) დეზის მაგიერ აქვს რბილი პატარა ბორცვები, ბებერს — დიდრონი, გაძვალებული დეზი. ბებერი ფრინველის დეზი 2-3 სანტიმეტრს აღწევს.

შინაური ფრინველის ასაკის გამოცნობა შეიძლება აგრეთვე მკერდის ძვლის წვერის მდგომარეობით: ბებერ ფრინველს ის გაძვალებული აქვს და თითქმის არ იღუნება, ახალგაზრდასი კი ელასტიურია და კარგად იღუნება.

ცოცხალი შინაური ფრინველი დაიკვლება, გაიპუტება და გამოიშიგნება. დაკვლის წინ ფრინველი უნდა განთავისუფლდეს შიგნეულში არსებული საკვების ნარჩენებისაგან. ამიტომ დაკვლის წინ 18-24 საათის განმავლობაში მათ არ ეძლევათ საჭმელი და 12 საათის განმავლობაში — წყალი.

ქათამი და ინდაური უნდა გაიპუტოს უშუალოდ დაკვლის შემდეგ, ბატები და იხვები კი 3 საათის შემდეგ, ვინაიდან ბუმბულის მოცილებით ზიანდება მათი კანი.

ცნობილია გაპუტვის ორი წესი: სველი და მშრალი, სველად გაიპუტება ქათმები და ინდაურები. ამათ მოვათავსებთ ცხელ წყალში 1-2 წუთით (ამ პროცედურას რამდენჯერმე გავიმეორებთ), მერე ამოვიღებთ და ფრთხილად მოვაცილებთ ბუმბულს.

მშრალი წესით, ესე იგი უწყლოდ გაიპუტება ბატი და იხვი; ასე გაპუტვა მეტ დროს და შრომას მოითხოვს.

გაპუტვის შემდეგ ფრინველს გატრუსავენ, რომ მოაშორონ წვრილი ბუსუსები, რომლებიც ფრინველის ტანზე რჩება გაპუტვის შემდეგ.

გატრუსვის წინ ფრინველის ტანი გასწორდება ისე, რომ მის კანზე ნაოჭები არ დარჩეს და ტილოთი გაიწმინდება. იმისათვის, რომ ის უკეთესად გაშრეს და კანიდან ბუსუსი მოცილდეს, ფრინველი უნდა გაიწმინდოს სიმინდის ფქვილით ან ქატოთი. შემდეგ გაიტრუსოს უკვამლო ალზე.

დაკლულ ფრინველს გამოსაშიგნად მოათავსებენ გვერდზე. კისრის ძირთან ჩაუჭრიან კანს, კისერს კანს მოაცილებენ და ძირშივე მოკვეთავენ. დარჩენილი კანი სანახევროდ მოიკვეთება, ხოლო დანარჩენით დაიფარება ჩიყვისა და კისრის ჩანაჭერი ადგილი. ფეხები მოეჭრება სახსრიდან.

გამოშიგვნის დროს ფრინველს მოსცილდება შიგნეული: ჩიჩახვი ნაწლავები, ღვიძლი, კუჭი, ფილტვები. გამოშიგვნა წარმოებს მუცლის ჩანაჭერი ადგილიდან და კისრის ნაპრალიდან.

კუჭმაჭის დამუშავება ასე ხდება: ფეხები, თავი, ბიბილო (მამლისა) დაიმდუღრება და მერე მოსცილდება კანი, კისერი და ფრთები გასუფთავდება. ღვიძლიდან ფრთხილად უნდა ამოიკვეთოს ნაღვლის ბუშტი, რომ არ გასკდეს. კუჭი გაიჭრება და მოსცილდება შიგნითა გარსი.

შიგნეულობის მოცილების შემდეგ ფრინველის ხორცი და კუჭმაჭი გაირეცხება ცივი წყლით; ოღონდ მისი წყალში დიდი ხნით დატოვება არ შეიძლება, ეს დაუკარგავს ნოყიერ ნივთიერებებს.

მოსახარშად გამზადებული, გარეცხილი შინაური ფრინველი ხახვთან და ძირხვენეულთან ერთად მოთავსდება ცხელ წყალში (1-1,5 ლიტრი წყალი 1 კგ ხორცზე). ხარშვა იწყება ძლიერ ცეცხლზე, ადუღების შემდეგ კი ცეცხლი უნდა შენელდეს. შინაური ფრინველი მთლიანად მოიხარშება, ხოლო სუფრაზე მიტანის წინ ასო-ასოდ დაიჭრება.

შინაური ფრინველის ხორცისაგან საკატლეტე მასის მოსამზადებლად 500 გრ რბილ ხორცს დაემატება 1/2 ჩაის ჭიქა რძეში დამბალი 100 გრამი გამხმარი პური. თუ ხორცი მჭლეა, საკატლეტე მასას დაემატება 10-15 გრამი კარაქი.

დაკლული ფრინველი შეიძლება შეიწვას მთლიანადაც და ასო-ასოდ დაჭრილიც.

ბებერი დაკლული ფრინველის შეწვაც შეიძლება, ოღონდ ის წინასწარ უნდა მოიხარშოს.

ფრინველს კარგი დაბრაწული კანი გამოუვა, თუ შეწვის წინ ცოტა არაჟანს წაუსვამთ.

დაკლულ შინაურ ფრინველს მარილი უშუალოდ შეწვის წინ წაესმევა შიგნიდან და გარედან.

მოხარშული ფრინველის ხორცთან ერთად სუფრაზე მიიტანება კარტოფილის პიურე, მწვანე ცერცველა, მოხარშული ბრინჯი, მოხარშული ბოსტნეული, საწებელი (ნივრის, ნიგვზის, ტყემლის, ღოღნაშოს, შინდის და სხვა), მწვანე სალათი, ახალი კიტრი, პამიდორი და სხვა.

შემწვარ შინაურ ფრინველთან ერთად სუფრაზე უმთავრესად მიიტანება შემწვარი კარტოფილი. შეიძლება სუფრაზე მივიტანოთ აგრეთვე მწვანე სალათი, მწვანე ან მჟავე კიტრი, მჟავე კომბოსტო, სხვადასხვა საწებელი (ნიგვზის, ტყემლის, ღოღნაშოს, შინდის, ისრიმის, მაყვლის, პამიდვრის) და სხვა.

შემწვარ ბატს და იხვს უხდება მომჟაო გემოს გარნირი.

თამარ სულაქველიძე

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექ. რედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 654 უე 03103

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა













ბ.29/150

ეროვნული ბიბლიოთეკა